# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 თებერვალი 2007 №27 (2950) ფასი 50 თეთრი

# გაირჯა გურჯი!



## 1:0 თურქებმა ქართველებთან წაგება შეურაცხყოფასავით იწყინეს








დავით სირაძის გამარჯვების გოლი და ნოდარ ახალკაცის სიხარულის ცრემლი

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

თბილისი. 7 თებერვალი. 21 საათი. ეროვნული. 53 000 (ტევადობა 55 000)

## საქართველო 1:0 თურქეთი

1:0 სირაძე (76)

| საქართველო | თურქეთი |
|---|---|
| რევიშვილი (ლომაია 46), შაშიაშვილი, სალუქვაძე, ხიზანიშვილი, ელიავა, მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, ბურდული (აშვეთია 82), კვირკველია (გოგუა 66), დემეტრაძე (ბენაშვილი 87), სირაძე (მუჯირი 77) | დემირელი, სერვეთი, იბრაჰიმი, აიდინი, ჰამიტ ალტინტოპი, თუგაი (უნალი 79), აურელიო, არდა (ტოპუზი 63), თუნჯაი (კარადენიზი 46), ჰალილ ალტინტოპი (თეკე 46), საბრი (თუმერი 63) |
| სათადარიგონი: ლვინიანიძე, გ. მერებაშვილი | სათადარიგონი: სერქანი; ჩანი, ჰუსეინი, სელჩუკი, თორმანი, ნური |
| მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი | მწვრთნელი: ფათიჰ თერემი |

გაფრთხილება: ჰამით ალტინტოპი (14), თუგაი (27), საბრი (49), ცქიტიშვილი (84), ლომაია (89), თეკე (90)

მსაჯები: რ. ლაიუკსი; ს. ბრაგა, ი. პუკიანისი (სამივე ლატვია); დ. ხარიტონაშვილი (საქართველო)



# ალიყური

## ტოპმიოლერმა იმპერატორს რევოლუცია მოუწყო

**კობა ინასარიძე**

ესეც მეორე ტოპისეული... ჯერ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაი ვნახეთ, გულმოსული რომ ტოვებდა „ეროვნულ" სტადიონს, ახლა კიდევ ამხელა თურქეთი თავის იმპერატორად წოდებული ფათიჰ თერიმით, ვინც ისე გალიზიანდა, მოედანზე და მატჩის შემდეგაც დასაბმელი გახდა. გასაკვირიც არ არის — პატარა საქართველომ მის რჩეულ-რჩეულ ბიჭებს ხომ ისეთი ბარაქიანი ალიყური აჭამა...

მსაჯობა იყო არაობიექტურიო, ქართველები ძალიან უხეშობდნენო, მეტოქე გამომწვევად იქცეოდაო — ასეთი და ამის მსგავსი ბევრი განცხადება მოვისმინეთ მეზობლებისგან, რაც, მეტი რომ აღარ ვთქვათ, სრულიად უსაფუძვლო იყო და უფრო ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას ჰგავდა. თურქებს თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად მთელი 90 წუთი ჰქონდათ, მოედანზე ვერაფერს გახდნენ და მერე თავს ათასნაირი უაზრობით იმართლებდნენ. იმართლონ! ჩვენ კი ვიცით, რომ გუშინ საქართველომ ერთი ომიც მოიგო, მოიგო ჯიგრიანი და სწორი ფეხბურთით.

მსაჯებისკენ თითსაც ნურავინ გაიშვერს, ლატვიელთა ბრიგადას ისეთი უსაშველო შეცდომებიც არ ჰქონია, შედეგზე გავლენა მოეხდინოს, უარესებიც გვინახავს და გაცილებით უფრო პრინციპული და მნიშვნელოვანი მატჩებისას.

მოკლედ, გუშინ ერთხელაც გავიხარეთ ჩვენი ნაკრების თამაშით, ბევრიც ვინერვიულეთ და ახლა უფრო დიდ და ლამაზ მოგებებს ველით. ველით, რადგანაც ვხედავთ, რომ საქართველოს ნაკრებს ეს შეუძლია. თანაც ისე, რომ არ ჰყავდეს 7-8 ფეხბურთელი და სამატჩო განაცხადის ფორმალურად შესავსებად ახალგაზრდული გუნდის ბიჭები იხმოს. თუმცა ამას უკვე შევეჩვიეთ — ტოპმიოლერს ხომ ჯერაც ვერ შეუკრებია უძლიერესი შემადგენლობა, თამაშის ხარისხი კი მატჩიდან მატჩამდე უმჯობესდება. ამიტომაც ვამბობთ და ველით, რომ საქართველო მომავალში უფრო სერიოზული გუნდი და ყველასთვის პრესტიჟული მეტოქე იქნება...

ტოპმიოლერმა თურქეთს ექსპერიმენტული შემადგენლობა და მისთვის უკვე ნაცადი ტაქტიკური სქემა დაუპირისპირა — ოთხ-ოთხი მცველ-ნახევარმცველი და თავდასხმაში სირაძე-დემეტრაძის დუეტი. ჩინებულად გაისარჯა ზაალ ელიავა, ვინც თავის პოზიციაზე, მარცხენა მცველად თამაშობდა და სწრაფი და ეფექტური გარღვევებით მეტოქეს პრობლემა არ დააკლო. თურქების რამდენიმე სახიფათო პასიც ჩაჭრა და ზონასაც კარგად აკონტროლებდა. ვფიქრობ, ამ ფეხბურთელის თამაშით არც მწვრთნელი დარჩებოდა უკმაყოფილო.

ჩვენებმა მეტოქეს თავიდანვე შეუტიეს და 15 წუთში საგოლედ სამი კარგი შანსიც მიიღეს. გოლით არც ერთი დამთავრდა, მაგრამ მეტოქემ იგრძნო, რომ მასპინძლებთან აგდებულად თამაში კარგს არაფერს მოუტანდა.

თურქებმა ტემპს უმატეს და მომდევნო 10-15 წუთი ბურთიც კარგად აკონტროლეს, ხოლო თურანი ორჯერ დაემუქრა ნუკრი რევიშვილს. სტუმრები ამ პერიოდში განსაკუთრებით მარცხნიდან აქტიურობდნენ, დაცვაში ხვრელი ნახეს და ამის გამოყენება სცადეს. თუმცა პრაქტიკულად უშეცდომოდ თამაშობდნენ ქართველების ცენტრალური მცველები — ზურაბ ხიზანიშვილი და ლაშა სალუქვაძე.

ტაიმის შუაში საქართველო ბეწვზე გადარჩა. ჩვენების კუთხურს თურქებმა უსწრაფესი კონტრშეტევა მიაყოლეს, ოთხი ფორვარდი სამ მცველს უტევდა, მაგრამ ზედმეტი მონდომეს და ზურაბ მენთეშაშვილმა შეტევა ზედ საჯარიმოს ხაზზე ჩაშალა.

შემდეგ დავით კვირკველიამ ერთი და იგივე პოზიციიდან დემირელს ორჯერ დაურტყა, ერთი მეკარემ მშვიდად აიღო, ხოლო მეორე გაჭირვებით, მუშტებით კუთხურზე მოიგერია. ტაიმის ბოლოსკენ ჩვენები მეტოქეს ერთხელაც მიაწვნენ. გიორგი შაშიაშვილმა მცველებს შუა ჩინებული პასი გაუჭრა ლადო ბურდულს, მანაც გონივრულად დაარტყა, მაგრამ იმჯერზე თურქები გადარჩნენ — ბურთი ხარიხას მოხვდა.

შესვენებაზე „იმპერატორმა" ორი ახალი თავდამსხმელი ჩართო საქმეში. კარადენიზიც და თეკეც სხარტები არიან და მათი გამოჩენის შემდეგ მასპინძელთა დაცვას პრობლემები მიემატა. თანაც, ერთი შეხედვით, საქართველოს ნაკრების შუა ხაზიც აღარ ჩანდა ისეთი მობილური, როგორიც იყო. დაიღალნენო, ითქვა, თუმცა ისიც იგრძნობოდა, რომ ტოპმიოლერსა და მის გუნდს რაღაც სხვა ჰქონდათ ჩაფიქრებული. ხოლო ვიდრე ჩვენები თამაშს ისევ მეტოქის ნახევარზე გადაიტანდნენ, საქართველოს ერთხელ ღმერთმა გადმოხედა — კარადენიზი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გიორგი ლომაიას ველარ აჯობა.

მერე კი ტოპმიოლერმა შეცვლაზე გოგიტა გოგუას უხმო და ცოტა ხანში ის ლამაზი გოლიც ვნახეთ, სავსე სტადიონი სიხარულით რომ გადარია. თუმცა იქამდე, წუთით ადრე, გოგუამ თურქებს ისეთი ჯარიმა დაურტყა, სუპერგოლამდე ჰა და ჰა დააკლდა. ეს „ჰა და ჰა" კი მაშინვე ვნახეთ: დემეტრაძემ კუთხურიდან ბურთი იქამდე არ გაათამაშა, ვიდრე გოგუა მისკენ არ დაიძრა, საიდაც საჯარიმოს კუთხესთან მიღებული ბურთი გოგიტამ მცველისთვის მოულოდნელად კარის მხარეს წაიღო, ჩაწოდებამდე პაუზა გააკეთა და შორეულ ძელთან დავით სირაძეს თავზე დაასვა — ბურთი დემირელის კარის ცხრიანში შეფრინდა.

თურქები გავეშდნენ, მატჩის ბოლომდე 15 წუთი იყო და თამაშის გადასარჩენად რა აღარ გააკეთეს. არც ბინძური თამაში ითაკილეს, არც სხვა რამ, მაგრამ ჩვენების დაცვა და მეკარე ყოჩაღად იდგნენ. მთელი გუნდით საქართველოს კარისკენ დაძრული თურქეთის დასჯა კი დავით მუჯირსაც შეეძლო — დემირელთან პირისპირ გავიდა, ხელსაც არავინ უშლიდა, მაგრამ ბურთის მიწოდება უკეთეს პოზიციაში მყოფ აშვეთიასთვის სცადა და მეკარემ მისი ჩანაფიქრი გამოიცნო.

სულ ბოლოს კი ფეხბურთის თამაშზე მეტად ნერვების თამაში წავიდა. ფეხბურთელებმა ერთმანეთზე გაიწიეს, ატყდა ერთი ამბავი, საქმეში მწვრთნელებიც ჩაერივნენ და...

ეს ყველაფერიც ისევ თურქების წამოწყებული იყო — პატარა საქართველოსგან ასეთ ომს ისინი ამკარად არ ელოდნენ. ჩვენებს კი ამაზე დიდი და უარესი ომები ელით. ღმერთმა ხელი მოგვიმართოს!

**ფათიჰ თერიმი**: ორგანიზაციის მხრივ ქართველები კარგად დაგვხვდნენ, მაგრამ თამაშს ამხანაგურს ვერ დავარქმევდი. ახლა არაფერს ვიტყვი მსაჯებზე, მაგრამ ფიფაუეფას ვანახებთ მატჩის ფირს და ისინი განსჯიან, როგორ მოქმედებდნენ მსაჯები მთელი თამაშის განმავლობაში. ამას განსაკუთრებით გვერდით მსაჯებზე ვამბობ. ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ მსაჯების უსამართლო გადაწყვეტილებებზე ნერვები მოეთოკათ, მაგრამ ვერ მოითმინეს.

...თურქეთის ნაკრები ორი წლის წინაც შეხვდა საქართველოს და მას შემდეგ თქვენი გუნდის პროგრესი აშკარაა, რასაც გულით ვულოცავთ კლაუს ტოპმიოლერს. დღეს საქართველოს ნაკრები წაგებას არ იმსახურებდა.

...და ამ მოგებას ვულოცავ შოთა, არჩილ და რეზო არველაძეებსაც.

**კლაუს ტოპმიოლერი**: ქართველ ხალხს სრული უფლება აქვს, ამ მოგებით იამაყოს. ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც ნაკრებს ვწვრთნი, ოპტიმალური ბირთვი

## პრესკონფერენცია

გამოიკვეთა. მიხარია, რომ ბიჭებმა მოსაგებად ყველაფერი გაიღეს, შედეგი კილოგიკურია.

...სანახაობრივად ბრწყინვალე მატჩი იყო. ძალიან კმაყოფილი ვარ ტაქტიკური მონახაზით, შესრულებით, განსაკუთრებით დაცვის ხაზში. როდესაც ნაკრებში ახალდანიშნული ვიყავი, მეკარისგან გრძელი პასებით ვიწყებდით შეტევებს, ახლა კი ვისწავლეთ ბურთის გაგორება, გამართული და ორგანიზებული თამაში. ამასთან, ხაზს ვუსვამ ნუკრი რევიშვილისა და გიორგი ლომაიას კარგ თამაშს, ზედიზედ მეორე მატჩია, მშრალად ვინახავთ კარს.

**— რამდენად სერიოზულია ზაალ ელიავას ტრავმა?**

— ელიავამ ჯერ კიდევ მარტში, ალბანეთთან მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. მას შემდეგ კი ტრავმები ჰქონდა. ტესტ-მატჩი მაძლევს გარისკვის საშუალებას. რაც შეეხება ტრავმას, ელიავა სერიოზულად არაა დაშავებული.

**— ელიავას გარდა, კიდევ თუ გამოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებსაც ნაკრებში სრულად ენდობით?**

— სირაძემ და ბურდულმა დღესაც და ურუგვაისთანაც კარგად ითამაშეს. გლაზგოში უკვე ტესტ-მატჩი არ იქნება — ვიღაცა ყოველთვის ვიღაცის ხარჯზე ხვდება 18-კაციან განაცხადში. სამწუხაროდ, მწვრთნელებს ძნელი არჩევანის გაკეთება გვიხდება ხოლმე.

**— ფათიჰ თერიმი მსაჯებზეა გამწყრალი. რას იტყვით ამაზე?**

— თურქეთს სრული უფლება აქვს, საქართველოსთან წაგებამ გაამწაროს. მათი ქვეყნის მოსახლეობა თორმეტჯერ აღემატება საქართველოსას. თურქეთმა წინა ამხანაგურში იტალიასთან 1:1 ითამაშა, მათ მართლაც ძლიერი ნაკრები ჰყავთ. თუმც მსაჯს ისეთი გადაწყვეტილება ნაღდად არ მიუღია, გავლენა მოეხდინა შედეგზე. ბურთიც წესების სრული დაცვით შევაგდეთ და მუჯირს ანგარიშის გაზრდაც შეეძლო — ეს ეპიზოდები საქართველოს ნაკრებმა შექმნა და არა მსაჯმა.



სერგტის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა

# 92-წუთიანი თავს ზემოთ ძალა



„მიხეილ მესხზე" თურქებმა ჯანითაც იმარჯვეს და ბურთითაც

7 თებერვალი. თბილისი. „მიხეილ მესხი". 13 საათი. 7 000 (ტევადობა 25 600)

**საქართველო(U21) 1:2 თურქეთი(U21)**

0:1 ერდინჭი (36), 1:1 ხუბუტია (61), 1:2 მეჰმეთი (90)

| | |
|---|---|
| **საქართველო:** თევდორაძე, მჭედლიშვილი (დვალიშვილი 80), ღვინიანიძე, ხუბუტია, ფოფხაძე (ელბაქიძე 78), გრიგალაშვილი (კახელიშვილი 73), ბჟალავა, მერებაშვილი, ნავალოვსკი, ჟღენტი (ბენაშვილი 49), ჭელიძე (გვაძაბია 86)<br>*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, თომაშვილი<br>**მწვრთნელი:** პეტარ სერგტი | **თურქეთი:** ვოლქანი, უგური, ფერჰათი (ბარიში 62), ჩეიჰუნი (გუზელდაკი 62), ბაჰტიაროღლუ (დემირი 76), სერდარი (ორჰანი 62), ჰურმაჩი, იელენი (მეჰმეთი 74), ილჰანი (ეჯუპი 62), ნური (ოტუზი 76), ერდინერ (იბრაჰიმი 74)<br>*სათადარიგონი:* უფუკი, ერჯინი<br>**მწვრთნელი:** უნალ კარჰმანი |

**გაფრთხილება:** ბაჰტიაროღლუ, ორჰანი, გრიგალაშვილი, ბჟალავა

**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (საქართველო)

**ილია ნანობაშვილი**

**ყველაფერი** უცნაური ჩვენთან როგორ უნდა მოხდეს! გაგონილა, უცხოტომელებთან მატჩში თანამემამულე მსაჯზე ლამის საცემრად იწევდე? ყველაფერი დამატებულ წუთებზე მოხდა, ლევან ფანიაშვილმა ორი წუთით გააგრძელა თამაში და თურქებმაც გადამწყვეტი გოლი გაიტანეს. როგორც კი ქართველებმა ცენტრიდან დაიწყეს, ფანიაშვილმა ეგრევე ჩასტვინა. ზოგიერთი ფეხბურთელი თვისტომ მსაჯს მივარდა და დაცვამ ძლივს დააკავა.

ქართველი ახალგაზრდების ახალ თავკაცს პეტარ სერგტის დებიუტი კენწეროში გაუმწარდა, თუმცა მეტოქე ისეთი ჰყავდა... ძალიან კოხტად თამაშობდნენ თურქები, გახუნებულ, უხარისხო მინდორზე ბურთის რბილად გაგორება და კომბინაციების აწყობა უკვე კლასის ამბავია. მეორე ტაიმში არც ჩვენები ჩამორჩნენ მეტოქეებს, აი, შესვენებამდე კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მინდორზე ფაქტობრივად არ არსებობდა...

სერგტიმ 4-4-2 განლაგება აირჩია. ვარჯიშზე დამუშავებულ სქემა-შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება იყო — მარჯვენა ნახევარმცველად ალექსი ბენაშვილის ნაცვლად გიორგი მერებაშვილი თამაშობდა. ჩვენებს თავდასხმაში ვერ აჰქონდათ ბურთი, რის გამოც გიორგი ჭელიძე და ბექა ჟღენტი თითქმის ტყუილად იყვნენ მოედანზე. განსაკუთრებით სუსტად ჟღენტი გამოიყურებოდა და აკი სერგტიმაც ყველაზე მალე იგი შეცვალა.

პირველ ტაიმში ქართველებს ერთხელაც არ უჩხვლეტიათ მეტოქისთვის, სტუმრებიც მაინცდამაინც ქარიშხალს არ ატრიალებდნენ, მაგრამ ნური საჰინის ყოჩაღობით ცენტრი დაიკავეს და მთელ მოედანზე ბატონობდნენ.

36-ე წუთზე კი ერდინჭმა ჩვენების საჯარიმოში ჯანით აჯობა მირზა ბჟალავას და მყისვე დაარტყა, ბურთიც ძელასხლეტით შევარდა რევაზ თევდორაძის კარში — 0:1. წუთშივე ილჰანი ლამის კენწვლა-კენწვლით გავიდა თევდორაძის პირისპირ, მაგრამ ბოლოწამს მეკარემ იყოჩაღა.

მეორე ტაიმი უფრო თვალმისაზიდი გამოდგა, რადგან მინდორზე მეორე გუნდიც გამოჩნდა. ქართველებს ძალიან არგო ბენაშვილის გამოსვლამ, რომელმაც მარჯვენა შემტევად ითამაშა, მერებაშვილმა ცენტრში გადაიწია, ხოლო შოთა გრიგალაშვილს გამთამაშებლობა დაეკისრა.

და „დაცხა" კიდეც თურქების კართან: ჭელიძემ ჯერ ოდნავ ააცილა თავური ნაკუთხურალზე, მერე კი პირისპირ დარჩა მეკარესთან და არაზუსტად გადაუგდო ბურთი თავზე.

გოლმაც არ დაახანა — 61-ე წუთი იყო, ბენაშვილმა საჯარიმო ჩააწოდა და ტანმაღალმა მცველმა აკაკი ხუბუტიამ თავით მარჯვედ დაჰკრა — 1:1.

აქედან მოყოლებული, ჩვენები მხოლოდ ორჯერ დაემუქრნენ ვოლქანის კარს და ორჯერვე ბენაშვილის ყუმბარა დარტყმებით.

თურქების ცხვირჩამოშვება ალბათ მათივე მწვრთნელის ბრალი იყო: ნური საჰინი, „დორტმუნდის" ძირითადში რომ თამაშობს და დრო და დრო ყველა ქართველ ნახევარმცველს მარტო რომ ერეოდა, საყრდენად დასწია და ამით იერიშები შეამცირა. სერგტიმ კი, ეტყობა, მოგების სუნი იგრძნო და შეცვლაზე სულ შემტევები შემოიყვანა, თუმცა ამან არ გაამართლა.

ბოლო 15 წუთში მხოლოდ სტუმრები ქმნიდნენ ხიფათს. მეჰმეთმა, დემერმა და იბრაჰიმმა ურეალური ესი შანსები გაანიავეს. ქართველთა დაცვა ხშირად იბნეოდა და გაძლებაზელა იყო, როცა დამატებულ წუთებზე ახმახმა მეჰმეთმა მაღალი ბურთი მიიღო და ხუთიოდ მეტრიდან იოლად გაუტანა თევდორაძეს...

ეს ის შემთხვევაა, როცა თავს ზემოთ ძალა 92 წუთი გკიდის, ბოლო წამებზე კი გეცლება. თურქეთის ნაკრები საქართველოზე ძლიერია და აკი ძალამაც იმარჯვა...

# ტოპმიოლერმა მეორე ბუნდესლიგა ხუბუტიასაც შთხრა

ლიტვური „კაუნასის" აკაკი ხუბუტიას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ოთხჯერ უთამაშია და ორი გოლი გაუტანია, რაც ცენტრალური მცველისთვის მშვენიერი შედეგია. აქედან პირველი ევროშესარჩევში მალტას გაუტანა, მეორედ კი გუშინ თურქ თანატოლებთან იხეირა. ხუბუტიას თურქებთან თამაშის გარდა მის სამომავლო საკლუბო ამბებზეც ვკითხეთ...



აკაკი ხუბუტიას საგოლე თავური

— წაგება ყოველთვის საწყენია, მაგრამ ცუდად ნაღდად არ გვითამაშია. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავილეთ, მაგრამ ბოლო წუთებზე დაღლა დაგვეტყო. ახალმა მწვრთნელმა გუნდი კარგად შეკრა, ყველაფერი მისხალ-მისხალ აგვიხსნა. მცირე ხანიც საკმარისია, რომ იგრძნო, როგორი დისციპლინის მოყვარული სპეციალისტია.

— აქამდე ახალგაზრდულ ნაკრებს რალფ მინგე წვრთნიდა. სერგტიმ მისგან განსხვავებული რა შემოიტანა გუნდში?

— მალტასთან თამაშებს თუ არ ჩავთვლით, მინგეს ჩვენთან არც უსაუბრია. მალტა და თურქეთი კი, ცხადია, სხვადასხვა დონეა. სერგტი დისციპლინასაც დიდ ყურადღებას აქცევს და ტაქტიკასაც.

— სტანდარტული მდგომარეობისას შეტევაში ერთვებოდი და გოლიც ასე გაიტანე...

— მწვრთნელის დავალება იყო და ესეც რომ არა, ჩემი სიმაღლე ხომ უნდა გამოვიყენო.

— ისე, თურქების მეორე გოლს საკუთარ თავს არ აბრალებ?

— ასე ვერ ვიტყვი. ჯერ ჩანაწერი უნდა ვნახო.

— ბოლო წუთებში სულ თურქები უტევდნენ და ისე ჩანდა, გაძლებაზე იყავით...

— არცაა გასაკვირი, თურქები რომ ფიზიკურად უფრო მხნედ იყვნენ — მათთან ახლა გაგანია ჩემპიონატია, ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობას კი სეზონი არ დაწყებია. 12 ნოემბრის მერე სერიოზული მატჩი პირველად ვითამაშე და არც მეგონა, ასე თუ გავუძლებდი. ბოლო ხუთი-ათი წუთი დაღლა ვიგრძენი და რა დასამალია, ერი სული მქონდა, როდის ჩასტვენდა მსაჯი.

— „კაუნასზეც" ვთქვათ. ლიტვის ჩემპიონატის დაწყებამდე საკმაო დროა და სადმე ხომ არ აპირებ გადასვლას?

— იქ მიჯობს წასვლა, სადაც სათამაშო პრაქტიკა მექნება. „კაუნასის" წევრი ვარ და მათ პოზიციას მალე გავიგებ — მომცემენ თუ არა თამაშის საშუალებას. ლიტვაში ჩავალ და იქ გაირკვევა ყველაფერი.

— სხვა გუნდებისგან გაქვს შემოთავაზება?

— „ალგირისის" ვარიანტი მაქვს, მათ მწვრთნელ არვიდას ნარბეკოვასს ძალიან უნდა ჩემი აყვანა — განათხოვრებაზეა ლაპარაკი.

— რატომ, „კაუნასი" არ გაგყიდის?

— არანაირად. რამდენიმე კლუბი დაუკავშირდა „კაუნასს", მაგრამ მათ ჩემ გაყიდვაზე უარი უთხრეს. არადა, ძალიან მინდა შუაევროპულ კლუბში გადასვლა და რაღაც საუბრებიც არის ამაზე...

— კერძოდ?

— სექტემბერში სერბეთთან მატჩის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერმა და რალფ მინგემ მითხრეს, გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში გადასვლის სურვილი თუ გაქვსო. მას შემდეგ ჩემთან ამ თემაზე აღარ ულაპარაკიათ და ვნახოთ... ჯერ კლუბის აზრს გავიგებ — თუ თამაშის საშუალებას მომცემენ, ხომ კარგი, თუ არა და, რომელიმე კლუბში გამანათხოვრებენ.

**ილია ნანობაშვილი**



საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს გუშინ თურქეთთან ამხანაგურ მატჩში არ უთამაშია. თუმცა ის თბილისში მაინც ჩამოვიდა, მთელი დღე გუნდთან ერთად გაატარა და საღამოს ბიჭებს ტრიბუნიდან ქომაგობდა. თურქეთთან კახას უთამაშებლობის მიზეზი აქამდეც ცნობილი იყო — მან ტრავმა ახლახან მოიშუშა, სათანადო ფორმაში არ არის და მწვრთნელთან შეთანხმებით ეს შეხვედრა გამოტოვა

# კალაძე ტრიბუნაზე

## ნაკრების კაპიტანს თურქეთამდე თხუთმეტი წუთი დააკლდა

— თურქეთთან ჩემ თამაშს აზრი არ ჰქონდა. ოფიციალური მატჩი რომ ყოფილიყო, კიდევ გავრისკავდი და გუნდს დავეხმარებოდი, თუმცა ახლა ამის აუცილებლობა არ იყო. მწვრთნელთან ერთად გადავწყვიტე, რომ ამჯერად არ მეთამაშა, თავად ტოპმიოლერს კი ახალი ფეხბურთელების გამოცდის საშუალება მიეცა — გვითხრა ნაკრების კაპიტანმა, რომელიც დღეს უკვე მილანში დაბრუნდება და სერია A-ს მატჩებისთვის მოემზადება.

— როგორც ითქვა, წინა უქმეებზე იტალიაში ტური რომ არ ჩაშლილიყო, უნდა გეთამაშა.

— დიახ, ასე იყო დაგეგმილი. თავიდან ბოლომდე არა, მაგრამ მწვრთნელს ნათქვამი ჰქონდა, შეცვლაზე გათამაშებო. მატჩი კი არ შედგა, არადა, თურქეთთან სათამაშოდ ის 15-20 წუთიც გამომადგებოდა.

— თუ იტალიის ჩემპიონატი განახლდა, მომავალ ტურში ითამაშებ?

— ვითამაშებ, მაგრამ ალბათ მაინც რამდენიმე წუთით, მძიმე ტრავმის შემდეგ სრული დატვირთვა არ შეიძლება.

— არადა, თავდაპირველი ვარაუდით, შენი ტრავმა მძიმე არ უნდა ყოფილიყო.

— ყველა ასე ფიქრობდა, მაგრამ სხვანაირად მოხდა და 40 დღე გამიცდა. ბურთს და მოედანს საერთოდ არ გავკარებივარ. ეს ფეხი კი ადრეც მაწუხებდა და მკურნალობა მჭირდებოდა, მაგრამ იყო პერიოდი, გუნდში ერთბაშად რვა ფეხბურთელს ჰქონდა ტრავმა და იძულებით ვთამაშობდი. ყოველი მატჩის წინ ტკივილგამაყუჩებელ ნემსებს მიკეთებდნენ, რამაც ბოლოს ასეთი შედეგი მოიტანა.

— „მილანმა“ მოულოდნელად სეზონი სუსტად დაიწყო, თანაც გუნდს ქულებიც დააკლეს. ახლა ისე ჩანს, კრიზისი უკან დარჩა. რამდენად რეალურია, „მილანმა“ წლეულს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს?

— რეალურია თუ არა, ჩვენი მიზანი წლეულს სწორედ ესაა და როგორმე მესამე-მეოთხე ადგილს უნდა შევწვდეთ. მეორე წრე კი გუნდმა კარგად დაიწყო და ასე თუ გავაგრძელეთ, საქმე გაკეთებულად ჩაგვეთვლება.

**კობა ინასარიძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

### ლიტვა 1:3 მალი

0:1 ტამბურა (21), 1:1 იანკაუსკასი (28), 1:2 დიარა (31), 1:3 დიალო (43)

ლიტვა: მალინაუსკასი, შემბერასი, სკერლა, ჟიაუკშტასი (პაულაუსკასი 72), სტანკევიჩუსი, კალონასი (კავალიაუსკასი 80), მიცეიკა, დანიელევიჩუსი, რაძინევიჩუსი (მორინასი 46), ველიჩკა (სავენასი 46), იანკაუსკასი (ბენიუსისი 87)

# ლიტვის ხერხემალს მალი მალიმალ გაუტყდა

**შეხვედრა** საფრანგეთში, პარიზის გარეუბანში მდებარე სტადიონ „კარნევაზე“ გაიმართა, რითაც ლიტველები ფრანგულ გარემოს ასე თუ ისე შეეგუვნენ — ევროშესარჩევში უახლოესი მატჩი მათ სწორედ საფრანგეთთან აქვთ, თუმც ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში.

ლიტველთა თავკაცის ალგიმანტას ლიუბინსკასის განკარგულებაში თითქმის ყველა უძლიერესი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ასევე ფაქტობრივად ოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე მალისთან ბალტიისპირელები ბეჩავნი აღმოჩნდნენ.

თუმც, ისიც სათქმელია, რომ მალი ფიფას რეიტინგში 36-ე ადგილზეა, ლიტვა კი 68-ეზე.

აფრიკელები ნახევარმცველმა ადამ ტამბურამ დააწინაურა, გამთანაბრებელი „ჰართსის“ შემტევმა ედგარას ინკაუსკასმა გაიტანა, მაგრამ მადრიდის „რეალის“ შუახაზელმა მაჰამადი დიარამ ისევ დააწინაურა მალი — ეს გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა — ლიტვამ მესამე გოლიც პირველივე ტაიმში გაუშვა და ფხაც გაუქრა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# საქართველო — ბრაზილიის შანსი მარტო ტეიშეირაა



გურამ ციბახაშვილის ფოტო

**გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ 22 აგვისტოს საქართველო — ბრაზილიის შესაძლო ამხანაგური მატჩი ჩაიშალა, რადგან მხარეებს შორის ლონდონში გამართულ მოლაპარაკებაზე ბრაზილიელებმა წინასწარ შეთანხმებულზე თითქმის ორჯერ მეტი თანხა მოითხოვეს. ლონდონურ მოლაპარაკებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძეც ესწრებოდა და მას ვერშემდგარი შეთანხმების პერიპეტიები გამოვკითხეთ**

— როცა ბრაზილიელებთან მოლაპარაკებას ვიწყებდით, საუბარი იყო 1 500 000 დოლარზე, მაგრამ მერე მილიონამდე ჩამოვედით, უფრო მცირე თანხაზე კი იყო ლაპარაკი. ლონდონში კი ბრაზილიურმა მხარემ 1 600 000-1 900 000 დოლარი მოითხოვა, რაც, ვფიქრობ, არასერიოზული მოთხოვნა იყო. არც ის იყო სასიამოვნო, რომ მოლაპარაკებას ვაჭრობის ფორმა მისცეს. თანაც ვერ გვაძლევდნენ იმის გარანტიას, რომ ბრაზილია თბილისში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდოდა.

**— ვინ აწარმოებდა მოლაპარაკებას ბრაზილიური მხრიდან?**

— ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი და აგენტი. კარგი იქნებოდა, უშუალოდ შევხვედროდით ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდუ ტეიშეირას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

**— მოკლედ, ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩის გამართვა ამ ეტაპზე გამოირიცხა?**

— თუ უშუალოდ ტეიშეირას შევხვდებით, შესაძლოა, ამ საკითხს დავუბრუნდეთ.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პარტნიორი „ინფრონტი“ ამ შესაძლო გარიგებაში მნიშვნელოვან ფინანსურ სუბსიდიას ვერ განახორციელებდა ქართული მხარისთვის?**

— საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩების ტელეტრანსლაციის უფლების მფლობელი „ინფრონტი“ მაქსიმუმ 300-400 ათას დოლარს შეგვმატებდა, მაგრამ ეს საკმარისი ვერ იქნებოდა ბრაზილიელთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად — მაშინ ბილეთის ფასი ისე უნდა გაგვეზარდა, რომ მის შეძენას ქართველი გულშემატკივარი ვერ შესწვდებოდა.

**— ბრაზილიამდე თბილისში არგენტინის ნაკრების მოწვევაზე იყო ლაპარაკი...**

— არგენტინელებს 12 სექტემბერს სურდათ თბილისში თამაში, ეს თარიღი კი კლაუს ტოპმიოლერს არ აწყობდა. არგენტინის ვარიანტს ასე მალე ვერ დავუბრუნდებით, თუმც ტოპმიოლერს ერთხელაც დაველაპარაკებით ამაზე.

**დავით თავართქილაძე**

# იმედაძე შახტიორს დაშორდა

**როგორც** ჩანს, ყარაგანდის „შახტიორში“ ადგილი არ მოიძებნა გრიგოლ იმედაძისთვის. „ზესტაფონის“ ფეხბურთელი ყაზახურ გუნდში გასინჯვაზე იმყოფებოდა და რამდენიმე ტესტ-მატჩიც ითამაშა, მაგრამ სამშობლოში მოუწევს დაბრუნება.

„შახტიორი“ თურქული შეკრებისთვის ემზადება და წამსვლელთა სიაში მხოლოდ ერთი ქართველია — გიორგი გაბიდაური.

რაც შეეხება ყარაგანდული კლუბის კიდევ ერთ ქართველს, ვიტალი დარასელიას, იგი ახალი გუნდის ძებნაშია და, როგორც ყაზახური კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, ფეხბურთელის ამ საქმეში ხელს არ შეუშლის.

# ვიტ ჯორჯიამ სიდე მოგებით დაიწყო

**თურქეთის** კურორტ სიდეში სამეორეწრეო სამზადის გადის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი თბილისის „ვიტ ჯორჯია“. გუშინ ვეტერინარებმა პირველი საკონტროლო ტესტ-მატჩი გამართეს ყაზახურ „ორდაბასთან“ და ირაკლი კიკნაძის 85-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 მოიგეს.

საგოლე მომენტები ზაზა სახოკიას და ნიკა გელაშვილსაც ჰქონდათ, მაგრამ, როგორც „ვიტ ჯორჯიას“ პრესსამსახური იტყობინება, ყაზახთა მეკარე რიგიანად ირჯებოდა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ შეგირდები ორი სხვადასხვა შემადგენლობით ათამაშა.

პირველი ტაიმი: ბედიაშვილი, ლომაია, პ. ღათუნაშვილი, კობიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, გ. ღათუნაიშვილი, რაზმაძე, სახოკია, გელაშვილი, ლუჭაშვილი.

მეორე ტაიმი: მიქაბერიძე, ბეჭვაია, კობიაშვილი, კაიაშაური, მელქაძე, კვალინიძე, კლიმიაშვილი, იმერლიშვილი, კიკნაძე, ლუჭაშვილი, ლიპარტია.

„ვიტ ჯორჯია“ თურქეთში 15 თებერვლამდე დარჩება და კიდევ ოთხ საკონტროლო თამაშს გამართავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოკომოტივს კასპიის ზღვა გაუშავდა

**თბილისის** „ლოკომოტივი“ ურეკშია და მზადების მეორე ეტაპს გადის. ზღვისპირეთში ჩასვლამდე თბილისელებმა აზერბაიჯანში ერთი ამხანაგური შეხვედრა გამართეს. ლოკომოტიველები აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეშვიდეადგილოსან „ოლიმპიკს“ გაეჯიბრნენ და 1:3 დამარცხდნენ. რკინიგზელთაგან გოლი მიხეილ სოსელიამ გაიტანა.

იმ მატჩში „ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გვარამაძე, თუთბერიძე, ებრალიძე, გ. კვახაძე, ფოფხაძე, მალიჩავა, ბარბაქაძე, გულორდავა, წუწუნავა, ყენია, სოსელია.

შეცვლაზე შევიდნენ: *მგვინეიშვილი, კირკიტაძე, ქლენტი, ალავერდაშვილი, ბერიძე, ბახტაძე.*

— აზერბაიჯანში შეკრება არ გაგვივლია, მხოლოდ ამხანაგური თამაშის ჩასატარებლად ჩავედით. უცხო ქვეყნის გუნდთან გვსურდა ძალების მოსინჯვა. თან, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის საქმეში ნახვაც გვინდოდა — გვითხრა გუშინ „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა.

შესაძლოა, „ლოკოს“ 30 წლის შემტევი ვლადიმერ გოჩაშვილი დაუბრუნდეს, რომელიც ისრაელში იმყოფებოდა გასინჯვაზე.

# იტალია მკაცრდება

## დახარისხებული მატჩები და მოსალოდნელი გაფიცვა!

**იტალიაში** საფეხბურთო ხულიგნობას ახალი წესებით ებრძვიან. კერძოდ, რაზეა საუბარი? საუბარია წესთა მთელ კომპლექტზე, მათ შორის კი, მატჩების უმაყურებლოდ გამართვასა თუ ბილეთების გაყიდვაში შეტანილ შეზღუდვაზე.

როგორც ქვეყნის სპორტის მინისტრმა ჯოვანა მელანდრიმ განაცხადა, სტადიონებზე, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „პისანუს მოთხოვნებს“ ვერ დააკმაყოფილებენ, თამაშები აიკრძალება.

ამასთანავე ითქვა, რომ ახალი წესი ავტომატურად და დაუყოვნებლივ აუქმებს ყველა სახის „კანონიერ ხვრელს“, რომლებიც სხვადასხვა ქალაქების მუნიციპალიტეტებმა თავის დროზე „პისანუს მოთხოვნების“ თავიდან ასაცილებლად შემოიღეს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მასპინძელი კლუბები სტუმარი გულშემატკივრებისთვის ჯგუფურად ბილეთებს ველარ გაყიდიან და საერთოდაც, ერთი ადამიანი ათზე მეტ ბილეთს ველარ იყიდის. ამ კანონის დამრღვევნი 9800-დან 150 000 ევრომდე დაჯარიმდებიან.

ძალაუფლება ემატებათ ძალოვნებსაც. მაგალითად, სასამართლოს შეეძლება, ამა თუ იმ მაყურებელს სტადიონზე დასწრება მთელი შვიდი წლით აუკრძალოს. მერედა, ასეთი მკაცრი სასჯელისთვის განსაკუთრებული დანაშაულის ჩადენა აღარ არის აუცილებელი, მასობრივი უწესრიგობის რიგითი წევრობაც სრულიად საკმარისია. ცხადია, რბევა-ნგრევისთვის გათვალისწინებულია ციხეც: 6 თვიდან სამ წლამდე, პლუს 9800 ევრო ჯარიმა.

ამიერიდან პოლიციას უფლება ექნება, თამაშის შემდეგ დაჭერილი მავანი ქომაგი გისოსებს მიღმა ბრალის წაყენების გარეშე ამყოფოს არა 36, როგორც აქამდე იყო, არამედ 48 საათი. აქ მნიშვნელოვანწილად იგულისხმებიან ის ადამიანები, რომელთა „ცელქობას“ საგანგებო ვიდეოკამერები შეამჩნევენ.

მერედა, აქამდე სჯიდნენ მხოლოდ იმ ხულიგნებს, რომლებიც მოედანზე სახიფათო, მკვრივ და მძიმე საგნებს ყრიდნენ, ამიერიდან კი მაშხალებისა და ბოლგამშვები ყუმბარების ქნევაც იკრძალება. მოკლედ, იტალიის სტადიონებზე „პიროტექნიკა“ აიკრძალა.

პოლიციელებთან ბრძოლა აქამდე სამიდან თხუთმეტ წლამდე ფასდებოდა, ამიერიდან ხუთიდან თხუთმეტამდე გახდება.

იტალიის მთავრობას ძალიან არ მოსწონს ფეხბურთის კლუბებისა და მათი ულტრა ფან-კლუბების თანამშრომლობა, რის წინააღმდეგაც აუცილებლად გადაიდგმება ნაბიჯები და კიდევ, დასჯიან მათ, ვინც ხულიგნებს ხელს დააფარებს და წააქეზებს.

გუშინ იტალიის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, რომ ჩემპიონატი კვირას განახლდება და მატჩებზე უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იქნება მიღებული. ამან კი ძალიან აღაშფოთა ლივორნოს მერი ალესანდრო კოსიმი, რომელიც გაფიცვითაც კი დაიმუქრა...

**პაპუნა ძიძია**

იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი გამოაქვეყნა სერია A-ს და სერია B-ს მომავალი ტურის მატჩების სია, სადაც ჩამოწერილია მაყურებლიან-უმაყურებლო თამაშთა განრიგი...

| | |
|---|---|
| | სერია A |
| ტორინო — რეჯინა | მაყურებლებით |
| სამპდორია — ასკოლი | მაყურებლებით |
| რომა — პარმა | მაყურებლებით |
| კალიარი — სიენა | მაყურებლებით |
| პალერმო — ემპოლი | მაყურებლებით |
| მილანი — ლივორნო | უმაყურებლოდ |
| მესინა — კატანია | უმაყურებლოდ |
| კიევო — ინტერი | უმაყურებლოდ |
| ფიორენტინა — უდინეზე | უმაყურებლოდ |
| | სერია B |
| მოდენა — ალბინოლეფე | მაყურებლებით |
| სპეცია — ბოლონია | შეზღუდული რაოდენობის მაყურებლით |
| ლეჩე — ვერონა | მაყურებლებით |
| არეცო — ფროზინონე | უმაყურებლოდ |
| ნაპოლი — პიაჩენცა | უმაყურებლოდ |
| ტრიესტინა — ტრევიზო | უმაყურებლოდ |
| ვიჩენცა — იუვენტუსი | უმაყურებლოდ |
| რიმინი — ჯენოა | უმაყურებლოდ |
| პესკარა — მანტოვა | უმაყურებლოდ |
| კროტონე — ჩეზენა | უმაყურებლოდ |




# ტუტო ტონი

**იტალიური** მედია ამტკიცებს, რომ „ფიორენტინას“ ფორვარდი ლუკა ტონი სეზონის ბოლოს ტურინის „იუვენტუსში“ გადავა. მსოფლიოს ჩემპიონი ტონი „იუვეს“ სატრანსფერო საქმეების შეფ რობერტო ბეტეგას შეხვედრია და მოლაპარაკებისას გადაწყდა, რომ ფეხბურთელი თანახმაა, „იუვეში“ ითამაშოს მიუხედავად იმისა, რომ ტურინული გუნდი ევროთასებზე ვერ გამოვა.

ტურინულმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ გაავრცელა ცნობა, რომ „ფიორეს“ სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ კლუბის პატრონ დელა ვალეს ოჯახისგან ტონის გაყიდვის უფლება მიიღო. შარშან ზაფხულს ფორვარდის „ინტერში“ გადასვლის თაობაზე საუბრობდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა. „იუვეს“ ტონი დავიდ ტრეზეგეს შემცვლელად ეგულება, რომელიც ამ ზაფხულს, სავარაუდოდ, ტურინიდან წავა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რომაელი აბდულა

**ეგვიპტელმა** მეკარემ მოჰამედ აბდულ-მონსეფმა თქვა, რომ მარტში რომის „ლაციოში“ გასინჯვაზე ჩავა. „ზამალეკის“ ფეხბურთელი ახლავე უნდა წასულიყო იტალიაში, მაგრამ კლუბმა არ გაუშვა. 30 წლის მოჰამედი გუშინ ეგვიპტე — შვედეთის ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახეს და აპენინებზე არ გაუშვეს.

აბდულ-მონსეფის სანაკრებო დებიუტი 1999 წელს შედგა, როცა გუნდს მაჰმუდ ალ-გოჰარი თავკაცობდა. მან ერთი წლის წინ აფრიკის ერთვნებათა თასი მოიგო.

## ფრანგს ოჯახური მოეწონა

**„რომას“** ფრანგი მცველი ფილიპ მექსეში ალბათ გაახანგრძლივებს კონტრაქტს, მიუხედავად იმისა, რომ მისი გადაბირება არაერთ ევროპულ ბობოლა კლუბს სურდა. 24 წლის მცველს „რომასთან“ გარიგება 2008 წლამდე აკავშირებს, „მილანი“ და მადრიდის „რეალი“ კი მასში 7 მილიონ 500 ათას გირვანქას იხდიან.

„კლუბს უკვე ვესაუბრე კონტრაქტის განახლებაზე და ამჟამინდელ ჯამაგირზე (მილიონ 700 ათასი გირვანქა). მომწონს აქაურობა. „რომაში“ ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელია და ისე ვართ, როგორც ოჯახი“ — განაცხადა მექსეშმა.

ფრანგის გარდა კონტრაქტს ალბათ კრისტიან პანუჩიც გააგრძელებს. სავარაუდოდ, იგი 2010 წლამდე დარჩება კლუბში.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იუვენტუსის ტაში და ტუში

## რა კარგია უმაყურებლო ფეხბურთი...



**ტურინის** „იუვენტუსის“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა თქვა, რომ ცარიელ ტრიბუნებზე თამაში „ბებერი ქალბატონისთვის“ უპირატესობა იქნება. ფრანგ სპეციალისტს ამის თავისებური ახსნა აქვს და ჩანს, არცთუ უსაფუძვლო...

„ფეხბურთი სახალხო ზეიმია და ფანების გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია. თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თუ გარკვეული პერიოდი ცარიელ სტადიონზე მოგვიწევს თამაში, ამას უნდა შევეგუოთ. პარადოქსია, მაგრამ ამან შეიძლება უპირატესობაც მოგვცეს, რადგან ჩვენი მეტოქეები თავიანთი ფანების თვალწინ 110 პროცენტით იხარჯებიან ხოლმე და მთელ ენერგიას „იუვენტუსთან“ ხარჯავენ“ — თქვა დეშანმა.

წინა პარასკევს სიცილიაში მომხდარი ტრაგედია იტალიური ფეხბურთის მამებისთვის ბოლო წვეთი იყო. ახლა ისინი სტადიონებზე უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს ითხოვენ, რომელსაც ძალიან ცოტა მოედანი თუ აკმაყოფილებს.

დიდიე დეშანი: „არ გვინდა, ამ სიტუაციით ვისარგებლოთ. იტალიური ფეხბურთი უნდა მივიდეს იქამდე, რომ ქომაგები სტადიონზე მხოლოდ თავიანთი გუნდის მხარდასაჭერად დადიოდნენ და არა ვინმეს დასაზიანებლად ან მეტოქის გულშემატკივრებთან საჩხუბრად. ნებისმიერ გადაწყვეტილებას დავეთანხმებით, თუმცა იმედია, მალე ისეთი ატმოსფერო შეიქმნება, რომ ხალხი ოჯახებით მშვიდად შეძლებს მატჩებზე სიარულს. არავის სიცოცხლე საფრთხეში არ უნდა იყოს. ის, რაც პარასკევს კატანიაში მოხდა, დაუშვებელია. საჭიროა, გამოსავალი ყველამ ერთად ვიპოვოთ, პრობლემების გადაჭრა გვიანი არასდროს არის და ეგებ სწორედ ახლაა ამისთვის საუკეთესო დრო. ეს ყველას და პირადად მეც მეხება, რადგან როცა სათადარიგოთა სკამზე ვზივარ, ჩემი მიმართულებით სხვადასხვა საგნებს ისვრიან ხოლმე“.

„იუვენტუსის“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი: „ჩემპიონატი, რაც შეიძლება, მალე უნდა გაგრძელდეს, რადგან წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა და მერე თავის დროზე ვერ მოვასწრებთ დამთავრებას. ისედაც ხშირ-ხშირად გვიწევს თამაში. თუ ახლა საჭიროა, რომ ცარიელ სტადიონზე ჩატარდეს მატჩები, ამას უნდა შევეგუოთ“.

**გიორგი ძაძამაძე**


# ლევონ თრეველი

გთავაზობთ უნიკალური შანსს, დაესწროთ შოტლანდია — საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩს გლაზგოში 24 მარტს.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია. განცხადებები მიიღება 28 თებერვლამდე.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №20
ტელეფონი: 250010, 250060, 250199, 8(99)537845

ახლა, როცა იტალიის ჩემპიონატი დროებით შეჩერებულია, იქაურმა ჟურნალისტებმა ფეხბურთელებისთვის „მოიცალეს“ — კერძოდ, „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპოდენტმა „მილანის“ ლეგენდარულ კაპიტანს, 38 წლის პაოლო მალდინის ჩამოართვა ინტერვიუ. მალდინიმ ჟურნალისტს თავიდანვე სთხოვა, კატანიაში მომხდარ ტრაგედიაზე ჩემი აზრი კი მაქვს, მაგრამ ამ საქმეში კომპეტენტური არ ვარ და ძალიან გთხოვთ, ამ თემაზე ნუ მალაპარაკებთო. რაზე ესაუბრა პაოლო მალდინი „გაძეტა დელო სპორტს“, ქვემოთ წაიკითხავთ...



# სენატორ მალდინის ცოლი ათამაშებს

— ბრაზილიელი რონალდო „მილანის“ ფეხბურთელი კია, მაგრამ ჯერ მისი მაისურით არ უთამაშია. თქვენ კი აქედანვე დარწმუნებული ხართ, რომ იგი კვლავაც გაიბრწყინებს. რატომ?

— ამის სამი მიზეზი მაქვს: რონალდო უბადლო ტექნიკისა და სისწრაფის პატრონია, ჯერაც ახალგაზრდაა, მხოლოდ 30 წლისაა და უმაღლეს დონეზე თამაშს კიდევ კარგა ხანს შეძლებს. ამასთანავე, საოცრად მოტივირებულია. უნდა ნახოთ, ვარჯიშებზე როგორ იხარჯება. ცხადია, მას ჩვენც შევუწყობთ ხელს.

— ვიდრე რონალდოს შეძენას გადაწყვეტდა, ადრიანო გალიანიმ ამ ტრანსფერის თაობაზე თქვენ და ბილი კოსტაკურტას გკითხათ აზრი. რატომ მაინცდამაინც თქვენ?

— ჩვენ ხომ „მილანის“ სენატორები ვართ. ეს, ცხადია, ხუმრობით. გალიანის ეშინოდა, რომ ბრაზილიელი გუნდში სიტუაციას არევდა, ანაც მის მოსვლას შევეწინააღმდეგებოდით. არავითარი ამდაგვარი, „მილანი“ ხომ დიდი გუნდია, სადაც დიდი ფეხბურთელები თამაშობენ. ჰოდა, რა უნდა გვქონოდა მე და ბილის საწინააღმდეგო, არ მესმის.

— გალიანიმ ანტონიო კასანოზეც გკითხათ?

— არა.

— არც ანდრეი შევჩენკოს შესაძლო დაბრუნებაზე?

— არა. მოკლედ გეტყვით, რაშიცაა საქმე: ჩვენთან ყველამ იცის, რა უნდა აკეთოს. ფეხბურთელებს ტრანსფერების საკითხში არავინ გვახედებს, ანუ გინდა თუ არა, ესა და ეს ფეხბურთელი მოვიყვანოთო, ამის თქმა ჩვენი საქმე არაა. მაგრამ, როცა განსაკუთრებული შემთხვევაა... რონალდოს ტრანსფერიც ასე აღიქმება. რონალდო მხოლოდ „მილანისთვის“ კი არა, სრულიად ფეხბურთისთვისაა განსაკუთრებული შემთხვევა.

— და თქვენი პირველი შთაბეჭდილება რონიზე ახლა, როცა თანაგუნდელები ხართ...

— იცით, ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ გასახდელში გვერდი-გვერდ მოვხვდით. მე, როგორც სტაჟიან კაპიტანს, ორი კარადა მაქვს და აქედან ერთი რონის დავუთმე. შევატყვე, ძალიან ესიამოვნა და იმწუთასვე კომპლიმენტები გავცვალეთ. ახლა ერთად ვართ და მისი უკეთ გაცნობისთვის დრო თავსაყრელადაა.

— რონალდოსა და კაპელოს შორის კონფლიქტზე რას იტყვით?

— სამწუხაროდ, დღემდე ვერ გამიგია, რატომ შეელია კაპელო რონალდოს. ვფიქრობ, ჩემპიონები იმიტომ არიან სწორედ ჩემპიონები, რომ იციან საკუთარი თავის ფასი. რონიც ადგა და ჩვენთან გადმოვიდა.

— იტალიის თასიდან „მილანი“ უკვე გავარდა, თუმცა მასიმო ოდოსა და რონალდოს გადმოსვლის მერე გაჩნდა იმედი, გაძლიერდითო...

— „რომასთან“ წაგებას ნაღდად არ ველოდით. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი „სან სიროზე“ 2:2 ვითამაშეთ. არადა, 2:0-ს ვიგებდით. ფინალში „ინტერთან“ თამაში ჩვენი ოცნება იყო.

— ჩავთვალოთ, რომ ეს სეზონი „მილანმა“ უკვე ჩააგდო?

— ასე ნამდვილად ვერ ვიტყვი. მართალია, ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ და არც ახლა მივდის საქმეები კარგად, მაგრამ... ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, იმედიანად ნაღდად ვარ.

— დადებდით ფსონს იმაზე, რომ წლეულს „მილანი“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს და თანაც სერია A-ში მეოთხე ადგილს დაიკავებს?

— ეს ჩვენი მიზანია და ამისთვის არაფერს დავიშურებთ. ფსონს ამიტომაც დავდებდი. მართალია, ძნელი კი იქნება, მეტადრე ლიგის მოგება, მაგრამ არა შეუძლებელი.

— ბოლო დროს სტადიონებზე მაყურებელთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო. რატომ?

— ამას ორი მიზეზი აქვს: დღეს ქომაგს ტელევიზიის საშუალებით შეუძლია სხვადასხვა გუნდების მატჩების ნახვა და თანაც, ზოგადად სათანადო სტადიონები არ გვაქვს — არ არის უსაფრთხოების ზომები დაცული და ზოგან მატჩების ცქერაც შეუძლებელია. იმედი მაქვს, 2012 წლისთვის ვითარება რადიკალურად შეიცვლება, ჩვენ ხომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა გვსურს. და მთავარი, „იუვენტუსი“ არაა სერია A-ში და ინტერესმა ამიტაც იკლო. ახლა მხოლოდ „ინტერი“ დომინირებს და ჩემპიონატის დონეც დაბლა ეშვება.

— კალჩოს მეორე ლეგენდამ, ალესანდრო დელ პიერომ რამდენჯერმე უცხოური კლუბების მიწვევებისგან შორს დაიჭირა თავი. საინტერესოა, თქვენ ვის უთხარით უარი?

— „არსენალს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ჩელსის“, „რეალს“. ეს იმ კლუბების ჩამონათვალია, რომლებიც პირადად დამიკავშირდნენ, ხოლო „მილანს“ ვინ შეეხმიანა ჩემ თაობაზე, არ ვიცი.

— თქვენი ვაჟის, კრისტიანის თამაშებზე თუ დადიხართ?

— ხშირად და უნდა გითხრათ, რომ უდიდეს სიამოვნებას ვიღებ, უბრალოდ, თავად უნდა ნახოთ, რა ხდება, ბავშვები ქანცის გაწყვეტამდე ჟივილ-ხივილით ვარჯიშობენ და თამაშობენ.

— სეზონის ბოლოს ბილი კოსტაკურტა ფეხბურთიდან მიდის...

— ეს ყველამ ვიცით და გაცილებითაც გრანდიოზულად გავაცილებთ. 40 წლის ასაკში დიდი ფეხბურთის თამაში მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ.

— თუმცა, არც თქვენ ხართ ახალგაზრდა... მალდინი როდის დაამთავრებს კარიერას?

— ასე ძალიან გსურთ, რომ წავიდე?! არა, ბატონო, ჯერ ჯანი მერჩის, ფიზიკურად, სულიერად თუ მორალურად თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მწვრთნელის განკარგულებაში ვარ. თანაც ჩემს მეუღლეს სურს, ერთი-ორი წელი კიდევ ვითამაშო, ფეხბურთი ხომ ჩემი ცხოვრებაა.

# ძველი რონი მალე იქნება



**იტალიური** „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი თვლის, რომ „როსონერიში“ ახლახან გადასული რონალდო მალე სრულ მზადყოფნაში იქნება. თავად ბრაზილიელმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ცოტა ხანში ძველებურად ავთამაშდებიო, თუმცა როდის შედგება მისი დებიუტი „მილანში“, ჯერ უცნობია.

„იგი ძალიან მოტივირებულია და ბევრს ვარჯიშობს. ახლა სწორედ ეს სჭირდება ფორმის აღსადგენად. მან მუხლის ტრავმა მოიშუშა და ფიზიკური პრობლემები არა აქვს. რონალდო კვლავაც სწრაფი და ბრწყინვალე ფორვარდია, თუმცა 90 წუთს მხოლოდ მაშინ ითამაშებს, როცა ბოლომდე მზად იქნება, რისკის გაწევას არ ვაპირებთ. ვფიქრობ, ეს მალე მოხდება და იგი დაამტკიცებს, რომ მსოფლიოში ისევ ერთ-ერთი საუკეთესოა“ — თქვა „კარლიტომ“.

ბუნებრივია, გამოცდილ ტაქტიკოსს იტალიურ ფეხბურთში ამჟამინდელ არეულობაზეც ჰკითხეს. მას უნდა, რომ ჩემპიონატი, რაც შეიძლება, მალე განახლდეს, თან მაყურებლებთან ერთად.

„იმედია, ჩემპიონატის განახლების შესახებ გადაწყვეტილებას, რაც შეიძლება, მალე მიიღებენ. სეზონი მომავალ უქმეებზე უნდა განახლდეს, თან მაყურებლებთან ერთად. პოლიციის უფრო დიდი ძალების ჩარევაა საჭირო, რათა უსაფრთხოების ზომები სტადიონებზეც დაცული იყოს და მის გარეთაც. ჩემი აზრით, ეს საუკეთესო გამოსავალია. ახალი მოედნების შენება ძალიან დიდ დროს წაიღებს, ხოლო ქომაგები სტადიონზე რომ აღარ შეუშვან, უმეტესად ყოვლად უდანაშაულო გულშემატკივრები დაზარალდებიან“ — დასძინა ანჩელოტიმ.

**კოკი კანდელაკი**

## ქალმა გოლი შვა

**მავანმა** ფეხმძიმე არაბმა ქალმა უარი თქვა სამშობიაროში დაწოლაზე, როცა გაიგო, რომ იქ ტელევიზორი არ არის და ფეხბურთს ვერ ნახავს. მშობიარეს თურმე არაბეთის ემირატების და ომანის თამაშის ნახვა უნდოდა. „გულფის თასზე“ ამ ორი ქვეყნის გუნდები ხვდებოდნენ, ქალი კი ემირატებიდან იყო.

„მაშინ მოვალ, როცა თამაში დამთავრდება და ჩვენები მოიგებენ“ — უთქვამს მას და სიტყვა შეუსრულებია. მატჩის დასრულებისთანავე დაბრუნდა სამშობლოში და ბიჭი გააჩინა, რომელსაც მატარი დაარქვა, რადგან ისმაელ მატარმა ომანის კარში გამარჯვების გოლი შეაგდო.

## ლიონმა ალდო დადო

**საფრანგეთის** ჩემპიონმა „ლიონმა“ წინასწარი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა „დეპორტივოს“ არგენტინელ ნახევარმცველ ალდო დუშერთან. არგენტინელს გალისიურ კლუბთან ხელშეკრულება ივნისში უმთავრდება და „ლიონიც“ მას უფასოდ ჩაიგდებს ხელში.

დუშერი უპირველესად იმითაა ცნობილი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩში დევიდ ბექემი დაამტვრია.

მისი გადაბირება „არსენალს“, „ბოლტონს“, „ხეტაფეს“, „ბოკა ხუნიორსსა“ და „რივერ პლეიტს“ სურდათ, მაგრამ არგენტინელმა ფრანგული კლუბი არჩია.

## ლილის დარდი ბოდმერი

**„ლილის“** ნახევარმცველი მტიუ ბოდმერი დაშავდა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩში ალბათ ვერ ითამაშებს. ფრანგული გუნდის ფეხბურთელმა „ნანტთან“ მატჩის (0:0) მე-60 წუთზე მიიღო ტრავმა და შესაცვლელი გახდა. ბოდმერს კვირის ბოლომდე ექიმები შეამოწმებენ და გადაწყვეტენ, საოპერაციოა თუ არა. იგი „მანჩესტერთან“ თამაშს გამოაკლდება, რაც კლოდ პუელისთვის დიდი დანაკლისი იქნება — მტიუ ბოდმერმა ამ სეზონში რვა გოლი გაიტანა.

## ციურიხმა დუში მიიღო

**შვეიცარიულმა** „ციურიხმა“ ფრანგული „ტულუზის“ ფორვარდი ფრანსელინო დუშ სანტუში იქირავა. ტუნისელმა თავდამსხმელმა ფრანგულ კლუბში თავი ვერაფრით გამოიჩინა და მისი გაშვება უნდოდათ. იანვარში დუშ სანტუშს ახალი გუნდი ვერ მოუძებნეს, მაგრამ ახლა უკვე გადაწყვეტილია, რომ ის სეზონის ბოლომდე „ციურიხში“ ითამაშებს.

შვეიცარიაში სატრანსფერო ფანჯარა თებერვლის შუა რიცხვებში იხურება და გარიგებაც იოლად მოგვარდა. ტუნისელს „ტულუზთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს.

**გაჩა ხუციშვილი**

# ამხანაგური მატჩები

# თხელი პერანგი დუნგას ათბობს
## ინგლისში სილვას ანდერძს უსტვინეს

**ბრაზილია 0:2 პორტუგალია**
0:1 სიმაო (82), 0:2 კარვალიუ (90)
**ბრაზილია:** ელტონი, მაიკონი (დანიელ ალვეში 62), ლუსიო, ჟუანი (ლუიზაო 46), ჟილბერტო, ედმილსონი (ტინგა 62), ჟილბერტო სილვა, ელანო, კაკა, ფრედი (დიეგო 66), სობისი (ადრიანო 46)
**მწვრთნელი:** კარლოს დუნგა
**პორტუგალია:** რიკარდუ, მიგელი, ჟ. ანდრადე, რ. კარვალიუ (ფ. მეირა 90), მ. კანეირა (პ. ფერეირა 46), პეტიტი, ტიაგუ (მუტინიუ 66), დეკუ (უგო ვიანა 60), რონალდუ (სიმაო 62), პოშტიგა (ნუნუ გომეში 74), კვარესმა
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი
**მსაჯი:** მარტინ ატკინსონი (ინგლისი)
59 793 მაყურებელი

**კარლოს დუნგა** დიდი ფეხბურთელი იყო და, ალბათ, კარგი მწვრთნელიც დადგება, მაგრამ ლუიშ ფელიპე სკოლარამდე ბევრი უკლია.

„დიდი ფილის“ პორტუგალიამ კოხტა ფეხბურთი ითამაშა „ემირატ სტედიუმზე“ ლონდონში და არანაკლებ საამო იყო ბრაზილიელთა ბურთაობაც. ოღონდ სკოლარის ხომ შეცვლების გამოცნობის ნიჭი აქვს, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია და ასე იყო გუშინწინაც — სიმაო საბროსა 62-ე წუთზე შევიდა კრიშტიანუ რონალდუს ნაცვლად და ოც წუთში კვარესმას პასით გაიტანა.

კვირას პორტუგალიის ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი კარლუშ სილვა გარდაიცვალა, წინა დღეს კი მას სკოლარისთვის უთხოვია, კრიშტიანუ რონალდუს ბრაზილიასთან მატჩში კაპიტნის სამკლავური ჩააბარე, მსოფლიოს ჩემპიონატზე რუნისთან მომხდარი ამბის გამო ინგლისელმა ფანებმა ტანჯვაში გამოატარეს და ეს ჩვენი პასუხი იქნებაო.

ასეც იყო, კრიშტიანუ რონალდუმ გუნდს უკაპიტნა, მაგრამ მანჩესტერელი ბურთს რომ მიიღებდა, ტრიბუნებიდან სტვენა ისმოდა.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მეორედ მოუგო ბრაზილიას, ხოლო დუნგასთვის ეს პირველი მარცხია მას შემდეგ, რაც გუნდი კარლოს ალბერტო პარეირასგან ჩაიბარა. პორტუგალიამ 2003 წელს პორტუში ამხანაგურად უმასპინძლა სამხრეთამერიკელებს და შეხვედრა 2:1 დასრულდა.

შარშან სექტემბერში ლონდონშივე ბრაზილიამ არგენტინა ამხანაგურ მატჩში 3:0 დაჯაბნა და იმ თამაშის გმირი დონეცკის „შახტარის“ ფორვარდი ელანო გახდა, რომელსაც ამჯერადაც შეეძლო მეხუთე წუთზე ანგარიშის გახსნა, მაგრამ მეკარე რიკარდუმ არ დაანება. შემდეგ რაფაელ სობისს ჰქონდა კარგი მომენტი, როცა რიკარდუსთან პირისპირ აღმოჩნდა და აქაც პორტუგალიელმა იყოჩაღა.

თავის მხრივ, სკოლარის შეგირდებიც ყოჩაღად უტევდნენ, რონალდუ მარჯვნიდან და კვარესმა მარცხნიდან — ბრაზ[illegible] რე ელტონსაც საქმე არ აკლდა.

მეორე [illegible] ფილის“ ცვლილებებმა გაამართლა. როგორც თავშივე ვთქვით, სიმაო საბროსამ მცველ ლუიზაოს დაასწრო და ელტონს გაუტანა, ხოლო შვიდ წუთში დაახლოებით ასეთივე გოლი შეაგდო რიკარდუ კარვალიუმ და ბრაზილიელებს თამაშის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნამატჩევს თქვა, ბრაზილიასთან გამარჯვება კარგია, მაგრამ მთავარი ჩემი გუნდის ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩისთვის მზადებააო: „ფიფას რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფ ნაკრებთან, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან მოგება თავდაჯერებულობას შეგვმატებს. ძალიან კარგი თამაში გამოვიდა და ორივეს გამარჯვების თანაბარი შანსი გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მათ მეტი მომენტი შექმნეს, ჩვენ უკეთ გამოვიყენეთ შანსები. ფინტებიც ბევრი იყო და ალბათ ინგლისელმა ფანებმაც ისიამოვნეს.“



პორტუგალიური წიხლი ბრაზილიას

AFP

კარლოს დუნგამ კი მაყურებლები თხელი პერანგით გააკვირვა. განია ზამთარში ასე თხლად რატომ გაცვიათო, რომ ჰკითხეს, ბრაზილიელმა უპასუხა: „ადრენალინი მათბობს და არ მცივა. რაც შეეხება თამაშს, ფლანგები სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ. მოგება შეგვეძლო, მაგრამ ეს ხომ ამხანაგური მატჩი იყო და მინდოდა, შანსი მიმეცა ყველა ფეხბურთელისთვის, ვისი ნახვაც მსურდა.“

**ვაჟა ხუციშვილი**

# არნოლდი არაა შვარცენეგერი, მაგრამ კლინსმანის არ ეშინია

**ავსტრალია 1:3 დანია**
0:1 ტომასონი (5), 0:2 დ. იენსენი (28), 0:3 ტომასონი (38), 1:3 ემერტონი (85)
**ავსტრალია:** პეტკოვიჩი, ჩიპერფილდი, კისნორბო, ტვეიტი, კეჰილი (გრიფიტსი 74), ემერტონი, გრელა, სკოკო (ბარნსი 66), სტერიოვსკი, ალოიზი, ჰოლმანი
**მწვრთნელი:** გრეჰ არნოლდი
**დანია:** სორენსენი, აგერი, გრავგაარდი (კროლდრუპი 75), იაკობსენი, ნ. იენსენი, დ. იენსენი (ვიურცი 66), კალენბერგი, პოულსენი, იორგენსენი (კ. იენსენი 71), რომედალი (გრონკიაერი 46), ტომასონი (ნორდსტრანდი 85)
**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი
**მსაჯი:** რობ სტაილზი (ინგლისი)
12 476 მაყურებელი

**ავსტრალიის** ნაკრებმა დანიასთან 1:3 წააგო, ხოლო ოზთა მწვრთნელმა გრეჰ არნოლდმა თქვა: „სულ არ მაინტერესებს საუბრები იმაზე, რომ იურგენ კლინსმანი შემცვლის. უკვე მომბეზრდა ამ თემაზე ლაპარაკი და იმედია, ეს ფეხბურთელებზე არ იმოქმედებს. ვიცი, რომ ჩემს ადგილზე კლინსმანს ნიშნავენ, მაგრამ მე ხომ არავინ არაფერს მეკითხება. სახელოვანი მწვრთნელი წარმატების გარანტია არ არის, მე ჩემი შესაძლებლობების მჯერა“.

იანვარში გერმანული „შტუტგარტიდან“ ესპანურ „ვილიარეალში“ გადასულმა იონ დალ ტომასონმა დანიას უკაპიტნა და სამკლავური გაამართლა — ორი გოლი გაიტანა პირველ ტაიმში. მის გოლებს შორის კი ერთი ვერდერელმა დანიელ იენსენმა ჩაამატა.

ავსტრალიელებს ორი გოლი არ ჩაუთვალეს, თამაშის მიწურულს კი ბრეტ ემერტონმა საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირა. მატჩი „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ სტადიონზე გაიმართა, დასავლეთ ლონდონში, სადაც ბევრი ოზი ემიგრანტი ცხოვრობს.

გრეჰ არნოლდს ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი აკლდა: მარკ შვარცერი, მარკ ვიდუკა, ჰარი კიუელი, ლუკას ნილი, კრეიგ მური, მაიკლ ბუჩამპი და ლუკ უილკშირი.

მარკ ბრეშიანოს და ჟეისონ კულინას კი საპატიო მიზეზები ჰქონდათ, მათი ცოლები მშობიარობდნენ.

დანიის ნაკრების მწვრთნელ მორტენ ოლსენს კი უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა, მხოლოდ ფორვარდი ნიკლას ბენდტნარი გამოაკლდა ტრავმის გამო.

ოზთა ახალგაზრდა ცენტრალური მცველი მაიკლ ტვეიტი მეხუთე წუთზევე შეცდა დალ ტომასონთან ბრძოლაში და ვილიარეალელმა საჯარიმოს ხაზიდან გახსნა ანგარიში. ნახევარი საათის თავზე ინგლისური „ჩარლტონის“ ნახევარმცველმა დენის რომედალმა მარჯვნიდან ჩააწოდა, ხოლო დანიელ იენსენმა თავით გაუტანა პეტკოვიჩს.

ტაიმის ბოლოს მესამე გოლიც გავიდა ავსტრალიელთა კარში — იენსენი საჯარიმოში შევიდა, იორგენსენს მიაწოდა, მან კი დალ ტომასონი მონახა შორეულ ძელთან და ფორვარდს ახლოდან შეგდება არ გასჭირვებია.

სამი გოლის გაშვების შემდეგ ავსტრალიამ შეტევებისთვის „მოიცალა“ და ჯონ ალოიზიმ გაიტანა კიდეც, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს. 50-ე წუთზე მილე სტერიოვსკის დარტყმული ბურთი ხარიხას შეასკდა.

მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შეცვლაზე შესული ფორვარდი რაიან გრიფიტი წააქციეს და ბრეტ ემერტონმა საჯარიმო დარტყმით ერთი გაქვითა.

დანიამ მოიგო ამხანაგური მატჩი და 24 მარტს ევრო 2008-ის შესარჩევში ესპანეთთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელის.

„სამი კი გავიტანეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იოლად მოვიგეთ — თქვა მორტენ ოლსენმა — ავსტრალია ფიზიკურად ძალიან კარგად არის მომზადებული. მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე მათი თამაში ვნახე და ძალიან მომეწონა“.

**ვაჟა ხუციშვილი**



იონ დალ ტომასონმა (№9) კაპიტნობა დუბლით გაამართლა

**ბულგარეთი 2:0 ლატვია**
1:0 სურნინსი (14ს.კ.), 2:0 იოვოვი (33)

**კვიპროსი 2:1 უნგრეთი**
1:0 იასუმი (18), 2:0 ოკასი (72), 2:1 პრისკინი (89)

**ჩრდ. ირლანდია 0:0 უელსი**

**საბერძნეთი 0:1 სამხრეთ კორეა**
0:1 ჩ. ლი (78)

**ნიგერია 1:4 განა**
0:1 ლ. კინგსტონი (61), 0:2 მუნტარი (70), 0:3 აგოგო (81), 1:3 ტაივუ (85პ), 1:4 მუნტარი (90)

**ჩინეთი 2:1 ყაზახეთი**
0:1 ჩიჩულინი (19), 1:1 პენი (33პ), 2:1 ჟინიუ (50)

Copa Toyota Libertadores '2007

**ლიბერტადორესის თასი 2007**

**შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები**

დანუბიო — ველეს სარსფილდი 1:2 (0:3); ლიგა დე კიტო — ტაკუარი 3:0 (1:1)



მადრიდულმა „ასმა“ „რეალის“ კრიზისზე სასაუბროდ სამეფო გუნდის ვიცე-კაპიტან გუტის მიაკითხეს. ხოსე მარია გუტიერესმაც რაულის, მიჩელ სალგადოს და იკერ კასილიასის ნათქვამი გაიმეორა — „რეალის“ ფეხბურთელებს სურთ, რომ დევიდ ბექემმა ისევ ითამაშოს და „ბერნაბეუს“ ტრიბუნაზე უბრალო გულშემატკივარივით არ იჯდესო.
გუტის კაპელოსი სჯერა და პრეზიდენტ რამონ კალდერონსაც ნდობას უცხადებს...

# გუტი ბუტია არ არის
## ვენდობით კაპელოს, გვინდა ბექემი

— 2007 წელი „რეალისთვის“ ცუდად დაიწყო. გოლებიც ველარ გაგაქვთ და თამაშებსაც აგებთ...

— ვხვდებით, რომ გუნდმა თამაში უნდა გამოასწოროს. ძალიან გვინდა პრიმერადივიზიონის მოგება...

— წინა კვირას ფაბიო კაპელოსთან უთანხმოება რატომ მოგივიდათ?

— სერიოზული არაფერი ყოფილა. ასეთი რამ ნებისმიერ სამუშაოზე ხდება, ყველა პროფესიის წარმომადგენელს შეიძლება მოუვიდეს. მინდა, გითხრათ, რომ არც მე მოვქცეულვარ კაპელოსთან უზრდელურად და არც მას მოუმართავს უხეშად. ჩვენ ზრდილობის წესები ვიცით და ერთმანეთს პატივს ვცემთ. კაპელო ათი წლის წინაც ჩემი მწვრთნელი იყო და ერთმანეთისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გვაქვს.

— კაპელო ამბობს, რომ ფეხბურთელები მის მხარეს არიან. ეს მართალია?

— გუნდი მწვრთნელს ასი პროცენტით უჭერს მხარს — ეს სიმართლეა. მშვიდად ვართ, რადგანაც ჩვენ მისი გვჯერა, მას კიდევ ჩვენი, ეს კი წარმატების საწინდარია. ნებისმიერ საქმეში ერთიანობაა საჭირო. ცუდი ისაა, როცა ყველა თავის მხარეს იქაჩება.

— უკვე აპატიეთ კაპელოს, რაც ადრე თქვენზე უთქვამს?

— ამაზე ძალიან ბევრი ვისაუბრეთ და ყველაფერი წარსულს მივაბარეთ.

— „ლევანტესთან“ წაგების შემდეგ ხალხმა „რეალს“ უსტვინა და უკმაყოფილების ნიშნად თეთრი ცხვირსახოცებიააფრიალა. ამის შესახებ რას იტყვით?

— ხალხი საყვარელი გუნდის სანახავად სტადიონზე მიდის და, ცხადია, უნდა, რომ „რეალმა“ მოიგოს. როცა გუნდი ვერ იგებს და ვერც ლამაზად თამაშობს, რასაკვირველია, ინჩასები უკმაყოფილონი არიან. როდესაც საქმე ასე მიდის, გულშემატკივარს ჩვენი კრიტიკის სრული უფლება აქვს. ყველაზე მეტად ჩვენ, ფეხბურთელებმა უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს სიტუაცია შეიცვალოს. ფანებმა უკვე დაგვიმტკიცეს — თუ „რეალი“ კარგად თამაშობს და მატჩებს იგებს, ისინი ჩვენკენ არიან.

— თეთრი ცხვირსახოცების ფრიალი ვისი მისამართით იყო მიმართული?

— ვფიქრობ, ეს ჩვენ, ფეხბურთელებს გვეხებოდა. აბა, მწვრთნელი ახალი დანიშნულია და საქმის გასაკეთებლად დრო კიდევ სჭირდება. კაპელო სიტუაციის გამოსასწორებლად ყველაფერს აკეთებს.

— კაპელო „რეალის“ ადრინდელი მწვრთნელებივით სავალალო ფინალს ხომ არ „უახლოვდება“?

— არავითარ შემთხვევაში. კაპელოს ფეხბურთელებისა სჯერა და გასაჭირში ერთმანეთის მიტოვებას არ ვაპირებთ. ჩვენ გვინდა, რომ ბევრი გამარჯვება გვქონდეს და ფაბიო კაპელო დიდხანს დარჩეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

— დევიდ ბექემთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— ჩემი მეგობარი და დიდი ფეხბურთელია. იგი ყველასგან დიდ პატივისცემას იმსახურებს. რეალელები ვფიქრობთ, რომ დევიდმა უნდა ივარჯიშოს და ითამაშოს. თუმცა მისი ამბავი კლუბის უფროსობამ უკვე გადაწყვიტა და მოთამაშეები ველარ ჩავერევით. „რეალისთვის“ უკეთესია, გამარჯვებისთვის ყველამ იბრძოლოს, მით უმეტეს, ისეთმა მოთამაშემ, როგორიც დევიდ ბექემია.

— მართალია, რომ კაპელოს შაბათამდე აქვს ულტიმატუმი?

— არა, ულტიმატუმი არავისთვის წაუყენებიათ. მთავარია, მას დრო მისცენ. შაბათს კი პირველი მატჩი გვექნება, როცა სიტუაცია უნდა შევცვალოთ.

— თქვენთვის კარგი ის არის, რომ „ბარსასაც“ ცუდად მისდის საქმე?

— ამას დადებითად ვერ შევაფასებ, რადგანაც ჩვენ მაინც წაგებებს ვაგრძელებთ. აი, „ბერნაბეუზე“ ცოტა უკეთ რომ გვეთამაშა, ცხრილის სათავეში ვიქნებოდით.

— „რეალში“ ფერნანდო გაგო და გონსალო იგუაინი მოვიდნენ. თქვენ რა პოზიციაზე უნდა ითამაშოთ?

— სადაც მეტყვიან, იქ ვითამაშებ. ეს ბიჭები „ბერნაბეუზე“ სიტუაციის გადასარჩენად კი არა, პირველ რიგში, ცოდნის მისაღებად და ევროპულ ფეხბურთთან შესაჩვევად მოვიდნენ.

# არაგონესის შავი მაიმუნი გათეთრდა

**ლუის არაგონესმა** ტიერი ანრის სასამართლო პროცესი მოუგო. გეხსომებათ, 2004 წლის ოქტომბერში ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლონდონის „არსენალის“ ფორვარდს „შავი მაიმუნი“ უწოდა. ამის გამო ანრიმ სასამართლოში იჩივლა — ფრანგი ფორვარდი ლუის არაგონესისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას და სიმბოლური თანხის, სამი ათასი ევროს გადახდას ითხოვდა.

„სასამართლო პროცესის მოგების თაობაზე ჩემმა ადვოკატმა შემატყობინა. დავამტკიცეთ, რომ შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია და არც რასისტი ვარ, როგორც ზოგიერთი მოსამართლე ფიქრობდა“ — განუცხადა ლუის არაგონესმა სააგენტო „როიტერს“.



**ლადო ხომერიკი**

# სახალხო მიზანი
## სპარტაკმა სავიოლა ზაფხულში დაგეგმა

**მოსკოვის** „სპარტაკს“ იტალიის ნაკრების ერთ-ერთი მეკარის, მარკო ამელიას ტრანსფერი ჩაეშალა. მართალია, რუსები მეკარეს ყველა პირობაზე შეუთანხმდნენ, მაგრამ ამელიას გაშვება „ლივორნომ“ არ ისურვა.

„ამელიას თაობაზე „ლივორნოს“ პრეზიდენტს ვერ შევუთანხმდით — განაცხადა „სპარტაკის“ გენერალურმა დირექტორმა სერგეი შავლომ — თავად მეკარეს კი უნდოდა ჩვენთან გადმოსვლა, მაგრამ კლუბმა არ გამოუშვა. ჩათვალეთ, ეს ამბავი დასრულებულია“.

ამელია ამელიად და, „სპარტაკი“ სხვა, უფრო ხმაურიან ტრანსფერზეც ფიქრობს — დიდი შანსია, ზაფხულიდან ამ გუნდში ესპანური „ბარსელონას“ არგენტინელი ფორვარდი ხავიერ სავიოლა ვიხილოთ.

„ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია. სავიოლა უახლოეს მომავალში ნამდვილად ვერ გადმოვა



„სპარტაკში“, რადგან ესპანეთში სეზონი გახურებულია, ზაფხულში კი ვნახოთ... მოლაპარაკებები ყველაფერს გამოაჩენს“ — განმარტა შავლომ.

**ბახა შალამბერიძე**

# მესი გაამართლეს
## მოსამართლეს სამხილები არ ეყო

**არგენტინული** როსარიოს სასამართლომ „ბარსელონას“ ვარსკვლავი ლეო მესი სამხილთა უკმარისობის გამო უდანაშაულოდ ცნო. მესის 19 იანვარს როსარიოს ერთ-ერთ ბარში მომხდარი ჩხუბის გამო ბარის მეპატრონემ უჩივლა.

ორი კვირის წინ ოსკარ სანჩესის ბარში ლეო და მისი ძმაბიჭები შევიდნენ, იქ „როსარიო სენტრალის“ ფანებთან ჩხუბი მოუვიდათ, რის გამოც ჭიქები და სკამები დაიმტვრა. მეპატრონემ სასამართლოში იჩივლა, თუმც მოსამართლე ადოლფო კლევერიემ განაცხადა, რომ სამხილთა უკმარისობის გამო საქმე აღარ გაგრძელდება.

არგენტინული მედიის ცნობით კი, ჩხუბი მესის არ დაუწყია. როცა ბარსელონელი ბარში შესულა, იქ მავან როსარიოელს მისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიუმართავს და ჭიქაც უსვრია — აი, ამას მოჰყვა დაკა-დაკა.

**ლადო ხომერიკი**

## გარი ექვსი თვით გაირიყა

**ესპანური** „სოსიედადის“ მეგოლე გარი ურანგას „სევილიასთან“ მატჩში (0:0) მუხლის მყესები გაუწყდა და ამ სეზონში ველარ ითამაშებს. ბასკურმა კლუბმა, რომელიც პრიმერადივიზიონში დასარჩენად იბრძვის, სევილიაში კარგად ითამაშა და ლიდერს ძვირფასი ქულა წაჰგლიჯა, მაგრამ ეს ურანგას ტრავმად დაუჯდა. ბასკი ფორვარდი შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე მასპინძელ მარტის შეეჯახა და ჰოსპიტალში წასაყვანი გახდა. მას ოპერაციას გაუკეთებენ და დაახლოებით ექვს-რვა თვეში დაუბრუნდება მოედანს.

## სარაგოსას გაბრიელი მიაკითხავს

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი გაბრიელ ფერნანდეს არენასი, იგივე გაბი, მომავალი სეზონიდან „სარაგოსაში“ ითამაშებს. სარაგოსელებს მისი წაყვანა იანვარშივე უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. გაბი ამ სეზონში ხუთჯერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში, მას კი მუდმივად თამაში სურს, რასაც „სარაგოსას“ მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი შეჰპირდა. ფერნანდესი ზაფხულში „რეალის“ მეორე მეკარის, დიეგო ლოპესის ყიდვასაც აპირებს.

## დეფენსორის მცველი

**„ვილიარეალმა“** მადრიდის „ატლეტიკოს“ დაასწრო და ურუგვაული მონტევიდეოს „დეფენსორის“ ცენტრალური მცველი მარტინ კასერესი დაიბევა. ფეხბურთელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 2008 წლიდან გადაბარგდება პრიმერადივიზიონში. სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე კასერესი საუკეთესო მცველად დაასახელეს და ამიტომაც მიიპყრო ევროპელთა ყურადღება.

აქვე ვთქვათ, რომ „ვილიარეალის“ არგენტინელი ნახევარმცველი ხუან რომან რიკელმე, რომელიც მწვრთნელმა აითვალწუნა და ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებს, შესაძლოა, „ბოკა ხუნიორსში“ გადავიდეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბარსამუელი

თითქმის ოთხთვიანი პაუზის შემდეგ სამუელ ეტოო მოედანს დაუბრუნდა. მუხლმოშუშებულმა კამერუნელმა ამ უქმეებზე „ოსასუნასთან“ მატჩის ბოლო ხუთი წუთი ითამაშა. „ბარსელონას“ ფანები დიდი ხანი ელოდნენ ამ მომენტს, რადგან ეტოოს ტრავმის შემდეგ კატალონიელები ისე დამაჯერებლად ველარ გამოიყურებოდნენ — აბა, ზედმეტი ახსნა სჭირდება იმას, რომ სამუელი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა.

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე აფრიკელი ფორვარდი „ბარსას“ ტელევიზიას ესაუბრა...


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეტოომ ბარსელონას შიდგბლობას ვეტო დაადო

— **მინდორზე დაბრუნების შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?**

— ბედნიერი ვარ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს ჩემი პირველი მატჩი იყო პრიმერადივიზიონში. მიხარია, რომ ჩემი დაბრუნება ისეთ ლამაზ ქალაქში შედგა, როგორიც პამპლონაა.

— **5 წუთი ბევრი არ არის, მაგრამ იმისთვის საკმარისია, რომ ასეთი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საკუთარი თავი მოსინჯო...**

— მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენ წუთს ვითამაშებდი. მთავარი იყო, მოედანზე გავსულიყავი და ფეხბურთისგან სიამოვნება მიმეღო, რაც მოხდა კიდეც.

— **რა გითხრათ ფრანკ რაიკარდმა?**

— არც არაფერი. უბრალოდ, მკითხა, გავიგე თუ არა ყველაფერი, რაც ამიხსნა მინდორზე გასვლამდე.

— **გოლებზე საუბარი ალბათ ნაადრევია...**

— პირიქით, დავბრუნდი და ტრავმაც დავივიწყე. „ოსასუნასთან“ გოლის გატანას ვცდილობდი, მაგრამ არ გამოვიდა. არა უშავს, შემდეგში გავიტან.

— **მოკლედ, გოლზე ისევ დაგეშილი ხართ...**

— დიახ, მაგრამ, როგორც ვთქვი, მთავარი იყო, მეთამაშა. გოლი ვერ გავიტანეთ და ვერ მოვიგეთ, თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თანაგუნდელებში ის განწყობა და შემართება დავინახე, რომელმაც წარმატებები უკვე მოგვიტანა. თუ ასე გავაგრძელებთ, გოლები და გამარჯვებები აუცილებლად იქნება.

— **მაინც როდის ვიხილავთ ძველ ეტოოს?**

— ახლა ყველაზე მეტად სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. ნელ-ნელა მინდორზე უფრო დიდი დროის გატარება მომიწევს, რასაც თავდაუზოგავი ვარჯიში სჭირდება. თუმცა დასვენება და სწორი კვებაც არ უნდა დავივიწყო. ვფიქრობ, მალე კარგ ფორმაში ვიქნები.

— **არადა, წესით, თქვენი სარეაბილიტაციო პერიოდი უფრო დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო...**

— უბრალოდ, ჩემი მუხლი იმაზე მალე მომჯობინდა, ვიდრე ველოდით. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ექიმებს: ხოსეპ მარიო მესალესას, ემილიო რიკარტს, ალეხანდრო ეჩევარიოსა და ყველას, ვინც მომჯობინებაში დამეხმარა. ასევე მინდა გამოვარჩიო დავიდ ალბელდა და აიტორ ოსიო. მათმა წერილებმა და სატელეფონო ზარებმა სტიმული შემმატეს.

— **მომდევნო მატჩი „რასინგთან“ გაქვთ. როგორ ფიქრობთ, ითამაშებთ?**

— იმედი მაქვს, რამდენიმე წუთით მაინც გავალ მოედანზე. წესით, მუხლმა ხელი არ უნდა შემიშალოს.

— **„რასინგთან“ მატჩი „ნოუ კამპზეა“ და როგორ დახვედრას ელით ქომაგებისგან?**

— ამაზე არ ვფიქრობ. ერთადერთი, რაც მინდა, გუნდის დახმარებაა.

— **თქვენთან ერთად ლიონელ მესიც ბრუნდება. ხომ არ მოგწყინდათ, რომ მას და თქვენ მხსნელებს გეძახიან?**

— არა, ეს არ მაწუხებს, თუმცა გადაჭარბებული კი მეჩვენება. ჩვენ გარეშე „ბარსა“ არც ისეთი ცუდი იყო. მიხარია, რომ მესიც დაბრუნდა. ახლა გუნდში კონკურენცია ისევ გაიზრდება და ეს ძალიან კარგია.

— **თქვენ გარეშეც კი „ბარსელონა“ ყველა ტურნირზე გამარჯვებისთვის ბრძოლას აგრძელებს...**

— მთლიანობაში ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა ყველა გუნდშია რაღაც გამოსასწორებელი და ჩვენც ყველანაირად ვეცდებით, თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ.

— **„ბარსელონას“ კრიტიკა გიკვირთ?**

— არა, ალბათ ეს დავიმსახურეთ. ხალხი მიეჩვია ჩვენგან ბრწყინვალე, თითქმის უშეცდომო თამაშს და ამიტომ ახლა ბოლომდე კმაყოფილნი არ არიან. თუ გვინდა, რომ ძველებურად ავთამაშდეთ და პროგრესი განვიცადოთ, ეს კრიტიკა უნდა მივიღოთ.

— **როგორც იქნა, ფრანკ რაიკარდის განკარგულებაში მთელი შემადგენლობაა, ეს ნიშნავს რომ გუნდი მოუმატებს?**

— ყოველთვის ოპტიმისტი უნდა იყო და ტიტულების მოგების იმედი გქონდეს. ბრწყინვალე გუნდი გვყავს და თუ ცოტა იღბალიც წაგვეხმარება, ისევ ჩემპიონები გავხდებით.

— **პრიმერადივიზიონს „ბარსელონა“ კი ლიდერობს, მაგრამ სხვა კლუბებიც იქვე არიან, ვის თვლით მთავარ კონკურენტად?**

— მხოლოდ იმას ვხედავ, რომ ლიდერები ვართ. ჩვენ უკან მყოფ კლუბებზე ბევრი ფიქრი არ ღირს. თუ შეცდომებს არ დავუშვებთ, ჩემპიონებიც გავხდებით. თუმცა წინ დიდი გზაა და თავდაუზოგავი მუშაობა უნდა გავაგრძელოთ.

— **მალე ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან“ მატჩი ახლოვდება...**

— ყველა მატჩი რთულია. „ლივერპულთან“ შეხვედრაზეც იგივე ითქმის, მაგრამ რა იქნება მინდორზე, არავინ იცის. არც ინგლისელები და არც ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ, მაგრამ იმედია, მოგება „ბარსას“ დარჩება. ჩემპიონთა ლიგაში ყველა მოსაგებად თამაშობს და ამაში ახალი არაფერია.

— **და ერთიც: ესპანეთის თასზე რას იტყვით, მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალური შანსი გაქვთ?**

— შეუძლებელი არაფერია, იმედი ხომ ბოლოს კვდება. შინ 0:1 კი წავაგეთ, მაგრამ „ლა რომარედაზე“ მოგება შეგვიძლია, რაც არაერთხელ გაგვიკეთებია. თუმცა ისიც ვიცით, რომ „სარაგოსასთან“ მატჩები ყოველთვის ძალიან დაძაბული და ძნელია.

# მილიონერი საცოლე

## ლატარიაში მოგებულმა ქალმა საქმროს ლივერპული არ აპატია




**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგმა კარენ ჩაილდმა ლატარიაში 8,5 მილიონი გირვანქა მოიგო და ეს ამბავი „ოლდ ტრეფორდზე“ „დაასველა“ — საქმრო უეინ სმიტთან ერთად შამპანური გახსნა.

„ეს დაუჯერებელია! „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავგადაკლული ფანი ვარ და ჩემთვის თანხის მოგებაზე არანაკლებ სასიხარულოა „ოლდ ტრეფორდის“ მინდორზე ფეხის შედგმა“ — განაცხადა 33 წლის ჩაილდმა.

პრეზენტაციაზე ჩაილდი „მანჩესტერის“ მაისურაში გამოწყობილი გამოცხადდა და თავისი საყვარელი გუნდის ფორმის მორგებას აპირებდა მისი 24 წლის საქმროც, მაგრამ პატივცემულმა ქალბატონმა კატეგორიულად აუკრძალა. რატომ? იმიტომ, რომ სმიტის საყვარელი გუნდი... „ლივერპული“ ყოფილა.

ბედნიერი წყვილის უახლოესი გეგმები ასეთია: სამსახურის დატოვება, მანქანის და საზაფხულო აგარაკის შეძენა ავსტრალიაში, ქორწილის 2008 წლიდან 2007-ში გადმოტანა.

**ქახა შალამბერიძე**

## აბა, ენა გამოყავი?

**გერმანული** „სპორტბილდის“ ცნობით, მიუნხენის „ბაიერნის“ სავარაუდო მწვრთნელთა სიაში არიან ფაბიო კაპელო და ჟერარ ულიე. „ბაიერნს“ ამჟამად ოტმარ ჰიცფელდი თავკაცობს, რომელიც ალბათ სეზონს ჩაამთავრებს და წავა. თუმც ჯერ ეს საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა.

სეზონის ბოლოს ეგებ ფაბიო კაპელოც გაუშვან, რომლის მუშაობითაც მადრიდში კმაყოფილები არ არიან. იტალიელის „ბაიერნში“ გადასვლა, შესაძლოა, ორმა მიზეზმა დააბრკოლოს: იგი გერმანული ენის გაგებაში არაა და ინგლისურად ლაპარაკიც უჭირს. თან კაპელოს მიუნხენში იმდენს ვერ გადაუხდიან, რამდენსაც „რეალში“ იჯიბავს.

რაც შეეხება ჟერარ ულიეს, გერმანულ მედიაში მასზეც საუბრობდნენ, თუმც „ბაიერნმა“ ეს ინფორმაცია უარყო.

## პაპა ივნისამდე წვერს არ გაიპარსავს

**„ნიურნბერგის“** მწვრთნელმა ჰანს მაიერმა კლუბთან კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე გაახანგრძლივა. 64 წლის „პაპამ“ ქაღალდებს ხელი მას შემდეგ მოაწერა, რაც წინა პარასკევს „ნიურნბერგმა“ „ბაიერნი“ დაამარცხა — 3:0.

„დარჩენა გადავწყვიტე, რადგან აქ მუშაობა მსიამოვნებს და აქაური გულშემატკივრები მიყვარს“ — განაცხადა მაიერმა. მან 2005 წლის ნოემბერში ჩაიბარა გუნდი და ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლი „ნიურნბერგი“ მერვე ადგილზე გაიყვანა. ამ სეზონში ბავარიელები ძალიან კარგად თამაშობენ და მეექვსე საფეხურით იწონებენ თავს. მათ ყველაზე ნაკლები (17) გოლი გაიტანეს და ყველაზე ცოტა (2) გაუშვეს. კარგი შედეგების გამო კონტრაქტი კლუბის სპორტულ დირექტორ მარტინ ბადერსაც გაუხანგრძლივეს.

## მოდით, იყოს იოსი

**გერმანული** „გლადბახის“ ახალ მწვრთნელ იოს ლუჰუკაის ოფიციალურად გაუფორმეს კონტრაქტი სეზონის ბოლომდე. მან ერთი კვირის წინ მოხსნილი იუპ ჰაინკესი შეცვალა და პირველივე მატჩში სტუმრად „არმინიასთან“ 2:0 იმარჯვა.

„მიონხენგლადბახს“ „არმინიასთან“ მატჩამდე 13 თამაში არ მოეგო და კლუბის შეფებმაც ლუჰუკაის შრომა უმალ დაუფასეს კონტრაქტით.

„ჩვენ იოსთან ერთად ბუნდესლიგაში დარჩენის მეტი შანსი გვაქვს — განაცხადა „გლადბახის“ სპორტულმა დირექტორმა პეტერ პანდერმა — მან დაამტკიცა, რომ ნიჭიერი მწვრთნელია და ამიტომაც დავიტოვებთ სეზონის ბოლომდე“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:45 | 1 | რედინგი-ასტონ ვილა | 2.15 | 3.20 | 3.35 | 1.28 | 1.30 | 1.63 |
| 19:00 | 2 | ჩელსი-მიდლსბრო | 1.30 | 5.10 | 9.00 | 1.03 | 1.13 | 3.25 |
| 19:00 | 4 | ევერტონი-ბლექბერნი | 2.20 | 3.20 | 3.15 | 1.30 | 1.29 | 1.58 |
| 19:00 | 5 | მანჩესტერი-ჩარლტონი | 1.16 | 6.60 | 15.00 | 1.00 | 1.07 | 4.58 |
| 19:00 | 7 | ნიუკასლი-ლივერპული | 3.85 | 3.20 | 1.95 | 1.74 | 1.29 | 1.21 |
| 19:00 | 9 | შეფილდი-ტოტენჰემი | 2.85 | 3.20 | 2.40 | 1.50 | 1.30 | 1.37 |
| 19:00 | 10 | ვესტ ჰემი-უოტფორდი | 1.85 | 3.30 | 4.30 | 1.18 | 1.29 | 1.86 |
| 21:15 | 11 | პორტსმუთი-სიტი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |

11 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 12 | ბოლტონი-ფულემი | 1.65 | 3.40 | 5.70 | 1.11 | 1.27 | 2.12 |
| 20:00 | 13 | არსენალი-უიგანი | 1.22 | 5.60 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.81 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

9 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 15 | საუთენდი-ქპრ | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 17 | ბარნსლი-კოლჩესტერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 18 | ბარნლი-უენსდი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 19 | ქოვენთრი-კარდიფი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 19:00 | 20 | დერბი-ჰალი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 19:00 | 21 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 19:00 | 22 | ლიდსი-კრისტალ პალასი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 23 | ლუტონი-ნორვიჩი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 24 | პლიმუთი-სანდერლენდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:00 | 25 | პრესტონი-ვულვერჰემპტონი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| 19:00 | 26 | ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |

11 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 16 | ბირმინგემი-სტოკი | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |

### ინგლისი. I ლიგა

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 28 | ბორნმუთი-ლეიტონი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 29 | ბრენტფორდი-ბრაიტონი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 30 | ბრისტოლი-ჰადერსფილდი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 31 | კარლაილი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 32 | ქრიუ-სკანთორპი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 33 | ჯილინგემი-ბრედფორდი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 34 | მილუოლი-ჩესტერფილდი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 35 | ნოტინგემი-ნორთჰემპტონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 36 | პორტ ვეილი-ჩელტენემი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 19:00 | 37 | როტერჰემი-ბლეკპული | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 38 | სუონსი-ოლდემი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 39 | ტრანმერი-დონკასტერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |

### ინგლისი. II ლიგა

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 40 | ჩესტერი-ჰერეფორდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 41 | ბარნეტი-აკრინგტონი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 42 | დარლინგტონი-ბოსტონი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 43 | გრიმსბი-როვერსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 44 | ჰარტლპული-უოლსოლი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 45 | ლინკოლნი-ტორკი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 46 | დონსი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 47 | პიტერბრო-რექსემი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 48 | როჩდეილი-სუინდონი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 49 | შრიუსბერი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 50 | სტოკპორტი-მენსფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 51 | უიკომბი-ნოტსი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |

### ინგლისი. კონფერენსი

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 54 | ალდერშოტი-ოქსფორდი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 55 | ალტრინჰემი-იორკი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 56 | კემბრიჯი-გრეისი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 57 | დაგ ენდ რედი-რაშდენი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 19:00 | 58 | ექსეტერი-უოკინგი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 19:00 | 59 | ფორესტ გრინი-კიდერმინსტერი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 19:00 | 60 | გრეივსენდი-მორიკომბი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 61 | ჰალიფაქსი-ნორთვიჩი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 19:00 | 62 | სტ.ალბანსი-ქროული | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 19:00 | 63 | სტივენეიჯი-ბარტონი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 64 | ტემუორთი-საუთპორტი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 19:00 | 65 | ვეიმუთი-სტ.რეინჯერსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 66 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 19:00 | 68 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.30 | 4.80 | 8.00 | 1.02 | 1.11 | 3.00 |
| 19:00 | 70 | ფოლკირკი-მოზერუელი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 71 | ჰართსი-ინვერნესი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 72 | სტ.მირენი-დანდი იუნ. | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |

11 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 73 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 5.20 | 3.70 | 1.55 | 2.16 | 1.19 | 1.09 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 75 | კლაიდი-ლივინგსტონი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 19:00 | 76 | დანდი-სტ.ჯონსტონი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 77 | გრეტნა-ერდრი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 19:00 | 78 | ჰამილტონი-ქუინი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 79 | პარტიკი-როსი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 80 | ალოა-სტრანრარი | 1.90 | 3.40 | 3.35 | 1.21 | 1.21 | 1.68 |
| 19:00 | 81 | ეარი-რეითი | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| 19:00 | 82 | კოუდენბითი-სტირლინგი | 2.95 | 3.30 | 2.10 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 19:00 | 83 | მორტონი-ბრეჩინი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 19:00 | 84 | პიტერჰედი-ფორფარი | 1.65 | 3.60 | 4.20 | 1.13 | 1.18 | 1.93 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 85 | ალბიონი-სტენჰაუზმური | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 86 | არბროთი-ელგინი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 19:00 | 87 | ბერიკი-მონტროუზი | 1.42 | 4.20 | 5.80 | 1.06 | 1.14 | 2.43 |
| 19:00 | 88 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 89 | ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 4.10 | 3.50 | 1.70 | 1.88 | 1.20 | 1.14 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

9 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 92 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |

10 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 90 | შტუტგარტი-ვერდერი | 2.80 | 3.20 | 2.40 | 1.49 | 1.29 | 1.37 |
| 18:30 | 91 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:30 | 93 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 18:30 | 94 | მაინცი-კოტბუსი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 96 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.75 | 3.20 | 4.85 | 1.13 | 1.28 | 1.92 |
| 18:30 | 97 | შალკე-ჰერტა | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 98 | ბაიერნი-არმინია | 1.25 | 5.10 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.48 |
| 20:00 | 100 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 2.60 | 3.10 | 2.65 | 1.41 | 1.31 | 1.42 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 103 | აუგსბურგი-უნტერჰახინგი | 1.90 | 3.10 | 3.65 | 1.17 | 1.24 | 1.67 |
| 21:00 | 104 | ბრაუნშვაიგი-კიოლნი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 21:00 | 105 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 106 | ბურგჰაუზენი-კობლენცი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 17:00 | 107 | კარლ ცაისი-ესენი | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| 17:00 | 108 | ფრაიბურგი-მიუნხენი 1860 | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 17:00 | 109 | ფიურტი-აუე | 1.90 | 3.20 | 3.45 | 1.19 | 1.22 | 1.66 |
| 17:00 | 110 | ოფენბახი-პადერბორნი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 111 | დუისბურგი-კარლსრუე | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 20:45 | 121 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:45 | 122 | ლუცერნი-სიონი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 20:45 | 123 | სტ.გალენი-აარაუ | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 124 | შაფჰაუზენი-თუნი | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 125 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 126 | სამპდორია-ასკოლი | 1.60 | 3.20 | 6.20 | 1.06 | 1.27 | 2.11 |
| 23:30 | 128 | მესინა-კატანია | 2.40 | 2.90 | 3.10 | 1.31 | 1.35 | 1.49 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 130 | ატალანტა-ლაციო | 2.50 | 2.90 | 3.00 | 1.34 | 1.36 | 1.47 |
| 18:00 | 131 | კალიარი-სიენა | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 18:00 | 132 | კიევო-ინტერი | 6.00 | 4.20 | 1.45 | 2.47 | 1.16 | 1.07 |
| 18:00 | 134 | მილანი-ლივორნო | 1.30 | 4.40 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.05 |
| 18:00 | 136 | პალერმო-ემპოლი | 1.65 | 3.20 | 5.80 | 1.08 | 1.28 | 2.06 |
| 18:00 | 137 | რომა-პარმა | 1.30 | 4.20 | 12.00 | 1.00 | 1.17 | 3.11 |
| 18:00 | 139 | ტორინო-რეჯინა | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 23:30 | 140 | ფიორენტინა-უდინეზე | 1.70 | 3.10 | 5.80 | 1.09 | 1.31 | 2.02 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 174 | ბეტისი-სევილია | 2.95 | 3.10 | 2.35 | 1.51 | 1.30 | 1.33 |
| 23:00 | 181 | სოსიედადი-რეალი | 3.95 | 3.40 | 1.85 | 1.82 | 1.25 | 1.19 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 171 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 22:00 | 172 | ბარსელონა-რასინგი | 1.33 | 4.20 | 9.50 | 1.01 | 1.16 | 2.91 |
| 20:00 | 176 | სელტა-ესპანიოლი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 177 | ხეტაფე-ვალენსია | 2.85 | 3.00 | 2.45 | 1.46 | 1.31 | 1.34 |
| 20:00 | 178 | ტარაგონა-ოსასუნა | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 20:00 | 179 | ლევანტე-უელვა | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| 20:00 | 180 | მალიორკა-სარაგოსა | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 20:00 | 183 | ვილიარეალი-დეპორტივო | 2.05 | 3.10 | 3.50 | 1.23 | 1.29 | 1.64 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 188 | მურსია-კადისი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 21:30 | 189 | პონფერადინა-სპორტინგი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 20:00 | 190 | რეალი(ბ)-ალავესი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 15:00 | 184 | ალმერია-სალამანკა | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 20:00 | 185 | ელჩე-ნუმანსია | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:00 | 186 | ლორკა-ლას პალმასი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 20:00 | 187 | მალაგა -ალბასეტე | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:00 | 191 | ტენერიფე-კასტელონი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 20:30 | 192 | ვალიადოლიდი-სიუდადი | 1.70 | 3.20 | 4.75 | 1.11 | 1.25 | 1.91 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 193 | ვეცინდარიო-ჰერკულესი | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 20:00 | 194 | სერესი-ეხიდო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 195 | ოსერი-სტ.ეტიენი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 23:00 | 197 | ლე მანი-სედანი | 1.70 | 3.20 | 5.30 | 1.11 | 1.28 | 1.99 |
| 23:00 | 199 | ლიონი-ლორიანი | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 23:00 | 201 | ნანტი-ვალენსიენი | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 23:00 | 202 | ნიცა-ტრუა | 1.85 | 3.00 | 4.40 | 1.14 | 1.30 | 1.78 |
| 20:10 | 203 | პსჟ-მონაკო | 2.15 | 3.00 | 3.40 | 1.25 | 1.31 | 1.59 |
| 23:00 | 204 | რენი-ნანსი | 1.80 | 3.00 | 4.70 | 1.12 | 1.30 | 1.83 |
| 23:00 | 205 | ტულუზი-ლილი | 2.55 | 3.00 | 2.75 | 1.37 | 1.32 | 1.43 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 196 | ბორდო-მარსელი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 21:00 | 198 | ლანსი-სოშო | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 236 | ექსელსიორი-გრონინგენი | 3.35 | 3.40 | 1.95 | 1.68 | 1.23 | 1.23 |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 237 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:30 | 238 | როდა-ნაიმეგენი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 23:00 | 239 | ალკმაარი-ტილბურგი | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 23:00 | 241 | ვალვაიკი-ჰერაკლესი | 1.90 | 3.40 | 3.35 | 1.21 | 1.21 | 1.68 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 15:30 | 242 | დენ ჰააგი-აიაქსი | 7.20 | 4.00 | 1.40 | 2.57 | 1.17 | 1.03 |
| 15:30 | 244 | ტვენტე-ფეიენოორდი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 17:30 | 245 | სპარტა-პსვ | 7.00 | 3.70 | 1.45 | 2.42 | 1.20 | 1.04 |
| 17:30 | 247 | უტრეხტი-ბრედა | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 18:45 | 258 | ერგოტელისი-აეკ | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 21:00 | 259 | პანიონიოსი-არისი | 2.10 | 2.90 | 3.45 | 1.21 | 1.30 | 1.57 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 260 | ატრომიტოსი-ეგალეო | 1.85 | 3.10 | 3.95 | 1.15 | 1.25 | 1.73 |
| 18:45 | 262 | კალამარია-პაოკ | 2.80 | 2.90 | 2.45 | 1.42 | 1.30 | 1.32 |
| 18:45 | 263 | ქსანთი-ოლიმპია | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:00 | 264 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1.18 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.08 | 3.86 |
| 21:00 | 265 | პანათინაიკოსი-ოფი | 1.16 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.05 | 4.00 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 266 | ანკარაგიუჯიუ-კაისერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 21:00 | 268 | ბეშიქთაში-დენიზლი | 1.32 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.13 | 2.75 |
| 16:00 | 273 | რიზე-ფენერბაჩე | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 267 | ანტალია-კონია | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 16:00 | 270 | ერჟიესი-ანკარა | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 21:00 | 271 | გალათასარაი-მანისა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 16:00 | 272 | გენჩლერბირლიგი-ბურსა | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 16:00 | 275 | საკარია-სივასპორი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 276 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 318 | ბოავიშტა-ნასიონალი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 19:00 | 319 | მაია-ბეირა მარი | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| 23:45 | 320 | ვარზიმი-ბენფიკა | 12.00 | 5.20 | 1.20 | 3.62 | 1.09 | 1.00 |
| | | ფინეთი. თასი | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 19:45 | 519 | იარო-ვპს | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | როიალ ლიგა | | | | | | |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 322 | კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |

# გიორგი ცინცაძის საიუბილეო გეგმა: რესტორანი და ღამის კლუბი

## ოლ სტარს აცდენილი ოთხთა ფინალზე ფიქრობს



**გუშინ საქართველოს ნაკრების გამთამაშებელ გიორგი ცინცაძეს 21 წელი შეუსრულდა. ნიჭისა და კარგი მონაცემების წყალობით ცინცაძემ უკვე არაერთ სახელიან გუნდში მოასწრო თამაში. მოსკოვის ცსკა და „დინამო", პერმის „ურალ გრეიტი", სამარის ვე-ვე-ესი — გიომ ამ გუნდებში დიდი გამოცდილება მიიღო და ახლა არანაკლებ ძლიერი გუნდების წინააღმდეგ ავლენს საკუთარ ნიჭიერებას. ცინცაძე ბალტიის ლიგის ლიდერია მეპასეთა შორის და ახლახან ამ ტურნირის ოლ სტარშიც უნდა ეთამაშა, მაგრამ...**

— ბოლო წუთამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ოლ სტარში ვითამაშებდი. ის კი არა, ხუთეულში დასაწყებად ვემზადებოდი, მაგრამ საბოლოო შემადგენლობაში ჩემი გვარი ვერ ამოვიკითხე.

**— რა მოხდა ასეთი?**

— როგორც ვიცოდი, ოლ სტარში მხოლოდ გამოკითხვით ხვდებოდნენ, მაგრამ მერე ეს წესი შეიცვალა თუ რა მოხდა, ვერ გავიგე. ყველა ვარსკვლავის თამაშში მხოლოდ ხუთეულები შეირჩა გამოკითხვით, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა დაასახელეს.

**— მაშ, შენ როგორ იცოდი?**

— მოთამაშეები პოზიციების მიხედვით იყვნენ დაყოფილნი და ვიცოდი, რომ უკანახაზელთა შორის პირველ-მეორეზე გასულები ძირითადში მოხვდებოდნენ, ხოლო მესამე სათადარიგო იქნებოდა. რაკი პირველზე გასულ მარკ პოპოვიჩს ტრავმა ჰქონდა, მეგონა, ხუთეულში მე მოვხვდებოდი, მაგრამ სათადარიგოები მწვრთნელმა შეარჩია და მე არ ამიყვანა.

**— ალბათ გული ძალიან გეტკინა...**

— დიდად არ მიდარდია, რადგან გაციებული ვიყავი და მაინც ვერ ვითამაშებდი. ისე, რა თქმა უნდა, გული დამწყდა, საუკეთესოთა შორის რომ ვერ მოვხვდი.

**— ახლა როგორ ხარ, გამოჯანმრთელდი?**

— კი, ვარჯიშსაც შევუდექი. დღეს დაბადების დღე მაქვს და მიხარია, იუბილეს გაციებული რომ არ შევხვდი.

**— როგორ აპირებ დაბადების დღის აღნიშვნას და საჩუქრები თუ მიიღე?**

— დღეს ვარჯიში არ გვქონდა, ბიჭებიც არ მინახავს და საჩუქრებსაც ალბათ საღამოს მივიღებ, რესტორანში რომ წავალთ. ტრადიციული სუფრის შემდეგ ღამე კლუბში ვაპირებთ გართობას.

**— ბალტიის ლიგის მეორე დივიზიონში შენი „როკი" წაუგებლად ლიდერობს და ოთხთა ფინალში გასვლის შანსებს როგორ შეაფასებ?**

— მართალია, პირველ დივიზიონში ვერ მოვხვდით, მაგრამ ოთხთა ფინალში გასვლის შანსი მაინც გვაქვს. პირველ ადგილზე თუ გავედით, პირველი დივიზიონის ბოლო, მეექვსე გუნდს შევხვდებით პლეი ოფში. თუ მას გავცდით, მერე მესამე-მეოთხეს შორის გამარჯვებულს ოთხთა ფინალის საგზურისთვის შევებრძოლებით. თუმც ჯერ მანამდე შორია. მეორე დივიზიონში პირველი წრეც არ დასრულებულა — 6 ტურის შემდეგ წაუგებლად ვლიდერობთ.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

6 თებერვალი

**პორტლენდი 102:109 ფინიქსი**

*ძირითადი დრო 96:96*

**პორტლენდი:** რენდოლფი (33 ქულა, 10 მოხსნა), როი (27)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (36), ბარბოსა (25), ბელი (15), მერიონი (12 ქულა, 13 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

**დეტროიტი 109:102 ბოსტონი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (24), მაკდაიესი (18), პრინსი (17), ვებერი (17)

**ბოსტონი:** გომესი (19), ტელფაირი (13)

**ნიუ იორკი 102:90 კლიპერსი**

**ნიუ იორკი:** კარი (23), კროუფორდი (23), ლი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი:** ბრენდი (22 ქულა, 13 მოხსნა), ტომასი (22)

**მემფისი 90:98 ჰიუსტონი**

**მემფისი:** გასოლი (30 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), მილერი (12)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (33), ჰოვარდი (17)

**მილუოკი 116:111 ორლანდო**

**მილუოკი:** პატერსონი (27), ბოიკინსი (26), ვილანუევა (22)

**ორლანდო:** ჰოვარდი (21 ქულა, 11 მოხსნა), ბოგანსი (19), თურქოღლუ (18)

# ფინიქსი უნებურად აფიშფიშდა

ასოციაციის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ფინიქს სანზს" სამშაბათს იმის დამტკიცება მოუხდა, რომ ლიდერის გარეშეც რამედ ღირს. არიზონელებს მხრის ტრავმის გამო აკლდათ ორგზის სეზონის უძვირფასესი მოთამაშე სტივ ნეში და პორტლენდში იქაურ „ბლეიზერსს" მის გარეშე შეებნენ. ცხადია, ნეშთან ერთად ასე არ გაუჭირდებოდათ ამ ქვესაშუალო გუნდის მოდრეკა, უმისოდ კი შეტევაში ჩვეული დამაჯერებლობა დაკარგეს და დაცვაშიც მასპინძლებს განავარდების საშუალება მისცეს.

მთლიანობაში ეს მაინც თანაბარი თამაში გამოვიდა. ფარქვეშ ერთმანეთი აწვალეს ზაკ რენდოლფმა და ამარე სტუდემაიერმა, ფარსგარეთ კი „პორტლენდის" ახალბედამ ბრენდონ როიმ და „ფინიქსის" ბრაზილიელმა სათადარიგომ ლეანდრო ბარბოსამ. თანაბარი ოთხი მეოთხედის შემდეგ შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა, ოვერტაიმი კი სტუმრებს უკეთ გამოუვიდათ. ისევ ზემოხსენებულმა ორმა ფინიქსელმა იძალა — სტუდემაიერმა ხუთწუთეულში საწყისი 5 ქულა ჩააკალათა, რასაც ბარბოსამ ორი სამქულიანი ჭურვი მიაყოლა. „ფინიქსმა" ზედიზედ მეექვსე თამაში მოუგო „პორტლენდს", რომლისთვისაც ეს ზედიზედ მესამე მარცხი იყო.

მიჯრით ოთხი თამაშის წამგებმა „მილუოკმა" ძალ-ღონე მოიკრიბა და შინ დაამარცხა „ორლანდო". მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა 31 წლის ვეტერანმა რუბენ პატერსონმა, ვინც თურმე თამაშამდე შეჰპირებია გუნდის ტრავმირებულ ლიდერ მაიკლ რედს, ამ მატჩს შენს მაგივრად და შენს სახელზე მოვიგებთო. რაც რედი არ ჰყავთ, მილუოკელი „ხარირმები" ბევრს ვერავის რქენენ და პლეი ოფისთვის მებრძოლთა სიიდანაც ამოეწერნენ. ახლა კი პატერსონმა საკუთარ თავზე იდო გუნდის წინამძღოლობა და 27 ქულაც ჩააკალათა, აქედან 14 მეოთხე მეოთხედში.

საწყალ „ბოსტონს" კი ვერაფერი შველის. ნბა-ს ყველაზე ტიტულიანი კლუბი როგორც არასდროს, ისეა დასუსტებული და ხსნაც არსაიდან უჩანს. დამტვრეული ლიდერები — პოლ პირსი, ტონი ალენი, თეო რეთლიფი და მაიკლ ოლოვოკანდი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები სკამებიდან უყურებენ თანაგუნდელთა საცოდაობას, გუნდი კი აგებს და აგებს — აგერ, ზედიზედ მე-15 მარცხით დაიზუნგა. „ბოსტონს" „დეტროიტთან" შანსიც არ ჰქონია — პირველი მეოთხედის შემდეგ 5 ქულით აგებდა, მეორის შემდეგ 16-ით ჩამორჩა, მესამეში კი სხვაობამ 22 ქულას უწია. გამარჯვებულთა ბებერმა მეფარეებმა კრის ვებერმა და ანტონიო მაკდაიესმა სტუმრებს ფარქვეშ თამაშის გაკვეთილი ჩაუტარეს. ვებერმა 17 ქულას და 6 მოხსნას, ბლომად პასებიც მოაყოლა, მაკდაიესმა კი მეტოქეებს თავისი პირველი რვა ტყორცნა ჩააგდო.

„დეტროიტი" მხოლოდ ბოლო მეოთხედში მოეშვა და აშკარად სუსტ მეტოქეს ამოსუნთქვის და სხვაობის 7 ქულამდე შემცირების საშუალება მისცა.

**კოტე ყორშია**



შონ მერიონმა „ფინიქსს" უნეშობა არ აგრძნობინა





ჩიკაგოელი ფინელი ტუომო რუუტუ კალგარელ ფინელ მიკა კიპრუსოფს კარში შეუვარდა

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

6 თებერვალი

**ატლანტა 3:4 ბუფალო**

*1:1 1:2 1:0 0:0 (0:1 ბულიტები)*

0:1 ბრიარი (9), 1:1 კოვალჩუკი (9), 2:1 სიმი (34), 2:2 ვანეკი (38), 2:3 ბრიარი (39), 3:3 მელანბი (52)

**ვაშინგტონი 2:3 ბოსტონი**

*0:0 0:1 2:1 0:0 (0:1 ბულიტები)*

0:1 ბოჩენკსი (26), 1:1 ლაიხი (41), 2:1 ფერი (48), 2:2 ბერჟერონი (54)

**კოლუმბუსი 0:3 ფინიქსი**

*0:1 0:2 0:0*

0:1 რაინპრეხტი (16), 0:2 დოუნი (27), 0:3 ზიგომანისი (32)

**მონრეალი 1:2 კაროლინა**

*0:0 1:1 0:1*

0:1 უილიამსი (23), 1:1 კოვალიოვი (25), 1:2 კაბერლე (51)

**ნიუ ჯერსი 3:2 რეინჯერსი**

*1:1 1:0 0:1 0:0 (1:0 ბულიტები)*

1:0 მარტინი (15), 1:1 რახუნეკი (16), 2:1 პარიზე (39), 2:2 იაგრი (42)

**პიტსბურგი 4:1 ნეშვილი**

*0:1 2:0 2:0*

0:1 ნიკოლი (18), 1:1 სტაალი (26), 2:1 მალკინი (29), 3:1 რეკი (44), 4:1 რუუტუ (59)

**ტამპა 3:2 ლოს ანჯელესი**

*2:0 0:0 0:2 0:0 (1:0 ბულიტები)*

1:0 ლეკავალიე (3), 2:0 ჯონსი (5), 2:1 ვივერი (42), 2:2 არმსტრონგი (48)

**დალასი 4:2 მინესოტა**

*1:2 1:0 2:0*

0:1 ნუმელინი (8), 0:2 დიუპუი (9), 1:2 ბუშე (13), 2:2 მოდანო (33), 3:2 ზუბოვი (56), 4:2 ბარნსი (57)

**სენტ ლუისი 1:2 ტორონტო**

*0:1 1:1 0:0*

0:1 პონიკაროვსკი (16), 1:1 ჯონსონი (33), 1:2 სტინი (39)

**კალგარი 2:3 ჩიკაგო**

*0:0 1:0 1:2 0:1 (ოვერტაიმი)*

1:0 ფრიზენი (36) 2:0 ჰუსელიუსი (45), 2:1 ჰავლატი (58), 2:2 ჰავლატი (60)

**კოლორადო 5:4 ფლორიდა**

*1:2 1:2 2:0 1:0 (ოვერტაიმი)*

1:0 ვოლსკი (4), 1:1 იოკინენი (7), 1:2 ჰორტონი (13), 1:3 გრეტონი (25), 2:3 არნასონი (27), 2:4 შტუმპელი (28), 3:4 კლარკი (43), 4:4 შჩასტნი (60), 5:4 საკიკი (61)

**ედმონტონი 2:5 ვანკუვერი**

*1:1 1:2 0:2*

1:0 ჰორკოფი (5), 1:1 დ. სედინი (18), 1:2 ნესლუნდი (26), 2:2 სტორტინი (30), 2:3 პაიეტი (35), 2:4 დ. სედინი (49), 2:5 დ. სედინი (60)

**სან ხოსე 4:7 ანაჰაიმი**

*1:2 0:4 3:1*

0:1 მოენი (14), 0:2 პალსონი (14), 1:2 გრირი (19), 1:3 მაკდონალდი (29), 1:4 რ. ნიდერმაიერი (32), 1:5 პენიე (37), 1:6 მოენი (39), 2:6 მარლო (42), 3:6 ჩიჩუ (33), 4:6 ჩიჩუ (55), 4:7 გეცლაფი (59)

## დევისის თასი 2007

საქართველო – პორტუგალია. 9-11 თებერვალი



# მთავარი ამოცანა: პორტუგალიის გავლა

**საქართველოს და პორტუგალიის სადევისთასო შეხლამდე ერთი დღე რჩება. გუნდები დღეს სპორტის სასახლეში ბოლო ვარჯიშებს ჩაატარებენ. ნაკრების კაპიტანმა გელა ელერდაშვილმა წინასამატჩო შეკრება კვირის დასაწყისში დაიწყო. სრული შემადგენლობა კი გუშინდა შეკრიბა. შეგირდების საპორტუგალიო მზადყოფნასა და შანსებზე ელერდაშვილი გუშინვე, დილის ვარჯიშის შემდეგ გვესაუბრა**

**— პირველ რიგში ნაკრების ლიდერის, ირაკლი ლაბაძის ფორმაზე გკითხავთ...**

— ტრავმის მიუხედავად, ირაკლი საკმაოდ კარგ ფორმაშია. მართალია, ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკა მოაკლდა, მაგრამ სავარჯიშო პროცესი არ შეუწყვეტია. წინასამატჩო შეკრებაშიც თავიდანვე ჩაერთო და მონდომებით ემზადება. ლაბაძე მართლაც ნაკრების ლიდერია და მის თამაშზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

**— ჯერ საქმეში არ გინახავთ ლადო ჩიხლაძე. მისი მზადყოფნის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— ლადო ტურნირებზე რეგულარულად თამაშობს. ასე რომ, ფორმიდან ამოვარდნილი არ უნდა იყოს. მართალია, წინასამატჩო შეკრებაზე გვიან ჩამოდის, მაგრამ პორტუგალიამდე რამდენიმე ვარჯიშს მაინც მოასწრებს. ხოლო დევისის თასზე თამაში რომ კარგად გამოსდის, არაერთხელ დაუმტკიცებია.

**— ძირითადი ტვირთი ამჯერადაც ლაბაძე-ჩიხლაძეზე გადაივლის, თუ გიორგი ხრიკაძეს და გიორგი ჭანტურიასაც მისცემთ შანსს?**

— ირაკლი და ლადო სადღეისოდ ნაკრების პირველი-მეორე ნომრები არიან და, რა თქმა უნდა, პორტუგალიასთანაც მათ უნდა შეასრულონ მთავარი სამუშაო. იმედია, საქმე ისე წავგივა, ხრიკაძე-ჭანტურიასაც მიეცემათ კორტზე გასვლის შანსი.

**— პორტუგალიელების ვარჯიშს ამ დღეებში არაერთხელ ნახავდით...**

— ახალგაზრდული გუნდია. დარწმუნებული ვარ, სერიოზულ ბრძოლას გაგვიმართავენ. პირველ ჯგუფში ჩვენზე ადრე დამკვიდრდნენ და ადგილის კიდევ ერთი წლით შენარჩუნებას თბილისში შეეცდებიან.

**— საქართველო ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფის დებიუტანტია. მიზნად რას ისახავთ?**

— მთავარი ამოცანა, ბუნებრივია, პორტუგალიის ძლევა და პირველ ჯგუფში დარჩენაა. ელიტარულ ზონაში ასასვლელად კი კიდევ ორი მოგება იქნება საჭირო. თან პორტუგალიაზე ბევრად ძლიერ ნაკრებებთან. ასეთი წარმატების მიღწევა რეალურად უძნელესი იქნება, თუმა ეს დევისის თასია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მთავარია, თითოეული შეხვედრის წინ კარგად მოვემზადოთ და თამაშში მთელი სული და გული ჩავაქსოვოთ.

**— თქვენი აზრით, პორტუგალია სამხრეთ აფრიკის დონის გუნდია?**

— არა. აფრიკელებს ალბათ უფრო ძლიერი ნაკრები ჰყავთ.

**— ბოლოს შანსებიც შეაფასეთ...**

— საკუთარ კედლებში თამაში ჩვენი უპირატესობაა. მაგარი საფარიც ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. ლაბაძის და ჩიხლაძის მთავარი კოზირი ძლიერი ჩაწოდებაა და წესით, რბილი საფარის მოყვარულ სტუმრებს ამით პრობლემები უნდა შეუქმნან. მოკლედ, გუნდში საბრძოლო განწყობაა. იმედია, მაყურებლებიც გვერდში დაგვიდგებიან და ერთად გავიხარებთ.

**ოთარ გალლაძელიძე**

# სოფოს მეოთხე ორსეტიანი

**ესპანეთში**, კერძოდ კი ბალეარის კუნძულების მთავარქალაქ მალიორკაში ITF-ის ეგიდით ქალთა 10-საათიანი ტურნირი ტარდება და ქართველი სოფო ქვაცაბაია კვლავ სეტის წაუგებლად მიიწევს წინ.

სოფომ საკვალიფიკაციო ეტაპზე მიჯრით სამ მეტოქეს სძლია ორ სეტში და ძირითად ბადეში გაადწია, სადაც პირველი მოწინააღმდეგე ... ტში დაჯაბნა — 6:1 6:1 ... ძელი კაროლინა პრატსი. მეორე წრეში ქვაცაბაიას მეტოქე ან მეოთხე ნომრად განთესილი გერმანელი ტატიანა პიაჩინი იქნება, ანაც გრძელი გვარ-სახელის მქონე ესპანელი ბეატრის ვალ-კავა დე ლაჩი.

# ნიკოლ და ლუსი: ჩეხური შოუ პარიზში გრძელდება

**ქალები**

**პარიზი. საფრანგეთი.**

**ხალიჩა (დარბაზი)**

**საპრიზო 600 000 $**

**პირველი წრე**

**ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — პატი შნიდერი (6, შვეიცარია) 3:6 6:4 6:3; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:1 6:4; **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:3 6:7 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (5, ჩეხეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:2 6:1; **კამილ პინი** (საფრანგეთი) — აგნეს ჟავაი (უნგრეთი) 6:4 6:0; **ანა ჩაკვეტაძე** (8, რუსეთი) — ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) 6:2 6:0; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:2 6:3

პირველი განთესილი და არც მთლად რიგითი ჩოგბურთელი გამოაკლდა პარიზს — საკმაოდ მოულოდნელად, მეექვსე ნომერმა პატი შნიდერმა საკმარისი არგუმენტები ვერ მოძებნა ეკატარინა ბიჩკოვას დასამარცხებლად. ამ წაგებით შვეიცარიელმა დაამტკიცა, რომ რიგიან ფორმაში ვერ არის და სეზონის დასაწყისში, კერძოდ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ნაჩვენები სუსტი თამაში შემთხვევითობა სულაც არ იყო.

შნიდერის ბიჩკოვასგან ძლევა იმის გამოც იყო მოულოდნელი, რომ ვერც რუსი წყვეტს მაინდამაინც ვარსკვლავებს. სლავს აქამდე მხოლოდ ორჯერ მოეგო ტოპოცეულის წარმომადგენლებთან — ერთხელ ფრანჩესკა სკიავონეს სძლია ერთხელაც აშშ-ს ღია პირველობის პირველ წრეში აჯობა მოქმედ ჩემპიონ სვეტლანა კუზნეცოვას. ეგ იყო და ეგ — ბიჩკოვას ამაზე ღირებული კარიერაში არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ახლა ერთ პლუსს კვლავ მიუმატებს თავის აქტივს. ამ მატჩის გადამწყვეტი ფაქტორი რუსის თავისი შანსებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება იყო, რადგანაც ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ოთხი გამოიყენა მაშინ, როცა შვეიცარიელმა თერთმეტი შესაძლებლობიდან მხოლოდ სამის გამოყენება შეძლო.

შნიდერისგან განსხვავებით, ტემპის დაგდებას არ აპირებს ნიკოლ ვაიდიშოვა. 17 წლის ჩეხი წლის დასაწყისიდანვე სოლიდურ თამაშს აჩვენებს და ელიტაში ფეხის მოკიდება მტკიცედ გადაუწყვეტია. წლეულს ნიკოლმა მხოლოდ ორჯერ წააგო და ორივეჯერ ნახევარფინალში — სიდნეიში ელენა იანკოვიჩთან და მელბურნ-პარკზე სერენა უილიამსთან. ჰოდა, ჩეხის პირველ წრეში ნაჩვენები თამაშიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საფრანგეთის დედაქალაქშიც მინიმუმ საუკეთესო ოთხეულში მოხვედრას გეგმავს.

პირველ წრეში ვაიდიშოვამ მასპინძელ არავენე რეზაის გადაურბინა და მხოლოდ სამი გეიმი აალებინა. თინეიჯერმა ჩეხმა თავის მოწოდებაზე გათამაშებათა სამი მეოთხედი მოიგო და თავი არც მიღებაზე თამაშისას შეურცხვენია — მთლიანობაში ოთხი ბრეიკი გააკეთა.

მოიგო კიდევ ერთმა ახალგაზრდა ჩეხმა ლუსი შაფაროვამაც. წლის პირველი სლემტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი სიურპრიზის ავტორმა (ამელი მორესმოს მოუგო!) ცვეტანა პირონკოვა წააქცია, თუმცა საამისოდ სამი სეტის ჩატარება მოუწია. მეორე წრეში ეს ორი ჩეხი ავსტრალიის ღია პირველობის დარად ერთმანეთს დაეტაკება:

„ფორმას მართლაც არ ვუჩივი დღესაც კარგად ვითამაშე. შემდეგ შეხვედრას რაც შეეხება, გეტყვით, რომ ლუსის კარგად ვიცნობ, ბოლოს და ბოლოს ნაკრებიდან მაინც და ამიტომ მისგან სიურპრიზებს არ ველოდები" — ლაკონიური იყო ნამატჩევს ვაიდიშოვა, რომელმაც შაფაროვას მელბურნში იოლად აჯობა.

კვლავაც მშვენივრად ირჯება ანა ჩაკვეტაძე, რომელიც ყოველ ტურნირზე სულ უფრო თვითდაჯერებულად გამოიყურება. ამჯერად ქართული წარმოშობის მეჩოგნესთან „სუფთა" რუსმა ოლგა პუჩკოვამ დაყარა ფარ-ხმალი. ანამ კვლავაც გაიბრწყინა და დღის ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოიპოვა, თავის მეტოქეს მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო.

ადგილობრივებს კი გასახარად მხოლოდ ნატალი დეშის გამოსვლა დარჩათ, რომელმაც ტატიანა გარბინი არ დაინდო და თავის გორის თანამემამულე ამელი მორესმოსთან გამოიწერა რანდევუ.

**კახა ლომაშვილი**



AFP



ნიკოლ ვაიდიშოვა და ლუსი შაფაროვა ორ კვირაში მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს

# გენმდივანმა იცის, ვის სად მიადგეს

**ლონდონში რამდენიმედღიანი ვიზიტის შემდეგ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქში საერთაშორისო კონფერენციას ესწრებოდა. მას ამ კონფერენციასა და სხვა საინტერესო საკითხებზეც ვესაუბრეთ**



სებასტიან კოე ემზარ ზენაიშვილმა თბილისში დაპატიჟა

**— რა თემაზე გაიმართა ეს კონფერენცია და რამდენად მნიშვნელოვანი იყო?**

— კონფერენცია ინგლისურმა გლობალური სპორტული შეჯიბრებების საკონსტულტაციო კომპანიამ (Pmp Legacy) ჩაატარა. ეს ორგანიზაცია, რომელიც 17-წლიან ისტორიას ითვლის, მართვის სფეროში მუშაობს. მისი პრიორიტეტული მიმართულებები სპორტი, კულტურა და დასვენებაა. იგი ხელმძღვანელობს მსოფლიოს უდიდესი შეჯიბრებების დაგეგმვასა და ჩატარებას, რაც ითვალისწინებს მრავალ სტრატეგიულ მიმართულებას, დაწყებული ფინანსებით, დამთავრებული კულტურული პროგრამებით, სერვისითა თუ გარემოს დაცვით. იგი თავის მუშაობაში ითვალისწინებს საკუთარ თუ სხვათა მიერ დაგროვილ უმდიდრეს გამოცდილებას და იცავს ამ საქმეში მემკვიდრეობის მარადიულობას, რაც კონფერენციას ლაიტმოტივად გასდევდა. მის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ კონფერენციას ესწრებოდნენ ბარსელონის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული დღემდე გამართული ყველა თეთრი და მწვანე ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტების ხელმძღვანელები თუ ყოფილი მეთაურები, აგრეთვე მომავალი ოლიმპიადების მასპინძელნი თუ კანდიდატი ქალაქების სპორტში მოსაქმე პირები... კონფერენციას ესწრებოდნენ საერთაშორისო, კონტინენტური, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების თუ სხვა სფეროების წარმომადგენლები...

**— კი მაგრამ, ჩვენთვის ეს კონფერენცია რით იყო საინტერესო? ჩვენ ხომ ოდესმე არც ოლიმპიური თამაშების მასპინძლები ვყოფილვართ და ამ წუთისთვის კანდიდატები ვართ.**

— სხვათა შორის, ამ კონფერენციაზე ჩემი დასწრება მის ზოგიერთ მონაწილესაც გაუკვირდა, მათ შორის, ჩემს ძველ ნაცნობს, სიდნეის ოლიმპიური თამაშების სპორტულ დირექტორ ბობ ელფინსტონს, ვინც მერე კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს და ვისაც საუკეთესო სპეციალისტად მივიჩნევ მათ შორის, ვისაც კი პირადად კარგად ვიცნობ. რაც შეეხება ამ კონფერენციით ჩვენს დაინტერესებას, ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ბორჯომი თეთრი ოლიმპიადის სამასპინძლო ამბიციებზე ხელის აღებას არ აპირებს. ამასთან, საქართველოში იგეგმება სხვა დიდი სპორტული შეჯიბრებების ჩატარებაც. ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ ამგვარ საქმეში ბაზების მშენებლობის, მენეჯმენტის, ტრანსპორტის, სხვაგვარი სერვისისა და სხვა სფეროებში მთელ მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების გაცნობა ჩვენს სამომავლო საქმიანობაში დიდად წაგვადგება. ახლა უკვე ვიცით, რომ საჭიროების შემთხვევაში მომავალში ვის მივადგეთ, ვის მივმართოთ.

**— ისე როგორ იქნება, ლონდონში მყოფ კაცს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო სამზადისზე რომ არ გკითხოთ.**

— ამ კონფერენციაზე ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ოლიმპიური ჩემპიონი, ლონდონის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი, ლორდი სებასტიან კოე იყო. მან ისაუბრა ამ ოლიმპიადასთან დაკავშირებით მისაღები გეგმის უპრეცედენტო მასშტაბურობაზე. ორგანიზატორებმა უკვე წარადგინეს გეგმა, რომელიც ახალი ობიექტების მშენებლობის თაობაზე ნებართვას ითვალისწინებს. ეს გეგმა 15-ტომიან დოკუმენტებს მოიცავს.

გეგმა ითვალისწინებს როგორც სპორტული არენების, ისე ახალი გზატკეცილების მშენებლობას, სამდინარო მიმოსვლის გაუმჯობესებას, ტემზის სანაპიროების გამაგრებას და დატბორვის თავიდან ასაცილებელი ახალი სისტემების შექმნას. გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რომლის ნახევარი ოლიმპიადის შემდეგ დაბალშემოსავლიან მოქალაქეებს გადაეცემათ, ნაწილს კი ოფისებად გამოიყენებენ.

საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, დევიდ ჰიგინსმა არ გაამხილა ის მიახლოებითი თანხა, რაც ოლიმპიური თამაშები დაჯდება, თუმცა ზოგიერთი ცნობით, ღირებულება შესაძლოა, გასამმაგდეს. იქვე ჰიგინსმა განმარტა, რომ ჩვენ თავდაპირველი გეგმა გადავამუშავეთ, რათა უკეთ განგვესაზღვრა ნაგებობათა ოლიმპიადისშემდგომი გამოყენების შესაძლებლობა, ეს კი ხარჯზე არანაირად არ მოქმედებსო.

ასეა თუ ისე, როგორც სებასტიან კოემ თქვა, ქალაქის განვითარების გეგმა ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესია მათ შორის, რომელიც კი ოდესმე ბრიტანეთში დასამტკიცებლად წარუდგენიათ.

სხვათა შორის, ვიქტორ სანაევის საიუბილეოდ მოპატიჟებულ სებასტიან კოეს თბილისში ვერჩამოსვლა ვუსაყვედურე. მან ათასი ბოდიში მომიხადა, ვერ მოვახერხე და მაპატიეთო, მერე კი ყასიდად, უმიზეზოდ კიდევ ერთხელ მოვიპატიჟე.

**— ვიცით, რომ კონფერენციის დღეებში ლონდონში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელოვანთა კონკურსის თბილისელი ლაურეატის, ლევან ვარდოსანიძის ნამუშევრები ერთ-ერთ გამოფენაზე უნდა წარმოედგინათ...**

— დიახ, ეს გამოფენა მართლაც მოეწყო და გული როგორ მომითმენდა, რომ ჩვენი მოქანდაკის ნამუშევრები არ მენახა. გამოფენა შუაგულ ლონდონში, ნახატების ეროვნული გალერეიდან და ცნობილი პიკადილიდან სულ რაღაც ასიოდე მეტრში მოეწყო ქუჩაზე, რომელიც ერთგვარი საგამოფენო ცენტრია. ამ ქუჩის ერთ-ერთ გალერეაში ლევან ვარდოსანიძის ოთხი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, რომელთაგან ორი სპორტულ თემატიკას ასახავდა. გულწრფელად გეუბნებით, ამ სამსამსართულიან საგამოფენო ცენტრში მნახველთა ყველაზე მეტ ყურადღებას სწორედ მაღალი ხელოვნების ეს ორი ნიმუში იპყრობდა. თავად შევესწარი, თუ როგორ დიდხანს და ყურადღებით ათვალიერებდნენ ამ ნამუშევრებს ხელოვნების ინსტიტუტის ბრიტანელი და ვენელი სტუდენტები, თან იქვე ქართველი ხელოვანის ნამუშევრების კატალოგს ინტერესით ეცნობოდნენ და გიდსაც შეკითხვებით ბომბავდნენ. როგორც ამ გამოფენაზე მითხრეს, ლონდონელი გალერისტი ძალზე დაინტერესებული ყოფილა, რომ ლევან ვარდოსანიძის სპორტულ და მუსიკალურ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები უფრო მასშტაბურად წარმოადგინოს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# კორეა ერთიანდება

## შეიძლება, პეკინში კომუნისტურ-კაპიტალისტური ალიანსი ვიხილოთ

ორი კორეა — კაპიტალისტური სამხრეთი და კომუნისტური ჩრდილოეთი ახლოსაა სპორტულ კონსესუსთან. ლაპარაკია 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ერთიანი გუნდით მონაწილეობაზე და ეს საკითხი, როგორც AP იუწყება, უახლოეს მომავალში უნდა გადაწყდეს.

ძირითადი და უმთავრესი პრობლემა, რომელიც კორეელებს ერთიანი ოლიმპიური გუნდის შექმნის გზაზე აქვთ გადასაჭრელი, სპორტსმენთა შერჩევისა და ნაკრები გუნდების დაკომპლექტების საკითხია. სეული, ანუ სამხრეთი მოითხოვს, რომ ოლიმპიელთა შერჩევა მხოლო და მხოლოდ სპორტული პრინციპით, ანუ ნაჩვენები შედეგების მიხედვით მოხდეს, ხოლო ფხენიანი, ანუ ჩრდილოეთი პარიტეტულ საწყისებზე ითხოვს ოლიმპიური დელეგაციის შექმნას — პეკინში ორივე მხარემ თანაბარი ოდენობით სპორტსმენები უნდა მივავლინოთო.

თუ ამ პრობლემას როგორღაც მოევლო, მაშინ ერთიანი კორეული გუნდის არსებობა, უკვე რეალობა იქნება, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში ორ კორეას შორის სპორტულ საკითხებში გარკვეული დათბობა შეინიშნება. კერძოდ, ამას წინათ ჩრდილოეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქთა დავაში სამხრეთ კორეული პიონჩანის მხარეს დაიჭერენ. ეს კი პიონჩანისთვის, რუსულ სოჩსა და ავსტრიულ ზალცბურგთან დავაში უზარმაზარი თანადგომა გახლავთ და დიდი შანსია, სწორედ ამ ფაქტმა იქონიოს გადამწყვეტი მნიშვნელობა სამი კანდიდატიდან ერთის არჩევისას.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფლავიო ბრიატორე: ისევ ლიდერთა შორის ვიქნებით

პოპულარულმა ჟურნალმა „ავტოსპორტმა“ გამოაქვეყნა ჯონათან ნობლის ინტერვიუ „რენოს“ იტალიელ ბოს ფლავიო ბრიატორესთან.

ფლავიო გამომწვევი და სკანდალური პიროვნებაა, იგი ერთდროულად გართობს და გაღიზიანებს, ზოგჯერ წინდაუხედავიც შეიძლება იყოს. მაგრამ, მთავარია ის, რომ უბრალო ვინმე არაა — „ბენეტონში“ მიხაელ შუმახერთან ერთად ორი საჩემპიონო ტიტულის მოპოვებისა და მერე ისეთივე გმირობის „რენოში“ ფერნანდო ალონსოსთან გამეორების შემდეგ „ფლავი“ მზადაა, ახალი ამოცანა გადაწყვიტოს, თავის საჯინიბოს ბოლო ორი წლის საჩემპიონო გვირგვინი შეუნარჩუნოს.

არადა, კარსმომდგარ სეზონში 56 წლის იტალიელს რთული პრობლემის გადაჭრა მოუწევს, „მაკლარენში“ გადასულ ალონსოს ადგილს ხომ ახალბედა ფინელი ჰეიკი კოვალაინენი დაიკავებს და ამდენად, წინა წარმატების გამეორება უძნელესი იქნება, თუმც ბრიატორე, როგორც ყოველთვის, საომრად მზადაა:

— მჯერა გუნდის, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბუნებით რომანტიკოსი ვარ, არამედ იმის გამო, რომ „ბენეტონთან“ ერთად შევძელი დამემტკიცებინა ჩვენი შესაძლებლობები მაშინ, როცა მიხაელ შუმახერი „ალმოვაჩინეთ“, შემდეგ კი ასეთივე წარმატება „რენოში“ ფერნანდო ალონსოსთან გავიმეორეთ.

— როცა ხუთი წლის წინათ რენოელებთან ერთად ფორმულა 1-ში მოვედით, ჩვენზე ერთ პენსაც კი არავინ დადებდა. იმასაც ამბობდნენ, ბრიატორეს მიხაელთან მაგრად გაუმართლა და მეორედ ასეთი არაფერი მოხდებაო, მაგრამ შედეგი მშვენივრად იცით.

— ფერნანდოს წასვლა, რა თქმა უნდა, უდიდესი დანაკლისია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ მის შემცვლელ ჰეიკი კოვალაინენის შესაძლებლობებში.

— ახლა გუნდის ლიდერი ჯანკარლო ფიზიკელაა, მაგრამ უკვე თავად უნდა გააკეთოს საკუთარი წარმატებისთვის ყველაფერი. გუნდის ამოცანაა, შეუქმნას მრბოლელებს სათანადო ტექნიკური მხარდაჭერა, დანარჩენი ბიჭების საქმეა, რადგან ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ არ მივუჯდებით საჭეს.

— არაფერს არ გპირდებით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ „რენო“ წლეულსაც ლიდერთა შორის იქნება, დანარჩენი კი უკვე მეტოქეებზეა დამოკიდებული.

# ილარიანმა თბილისი სამჯერ გაადო

**როგორც ჩანს** ჩვენში მძლეოსნობა ნელ-ნელა სულს ითქვამს და აგერ თბილისის ზამთრის ღია ჩემპიონატიც კი ჩატარდა. დავაზუსტოთ: თბილისის ჩემპიონატი კი ჰქვია, მაგრამ რაკი ღია იყო, ვაკის სამძლეოსნო მანეჟში მთელი საქართველოდან მოიყარეს თავი და ლამის ქვეყნის ჩემპიონატიც კი მოაწყვეს.

ვაკის მანეჟში იმძლეოსნა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრმა დავით ილარიანმაც, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიგო. ილარიანმა ჯერ 60 მეტრიან გარბენში, მერე იმავე დისტანციაზე, ოღონდ თარჯრბენში აჯობა ყველას, ბოლოს კი სიგრძეზე ხტომაშიც ყველაზე შორს გადახტა.

ქალებში ძალიან გამოირჩა ვანელი გიული დეკანაძე. მან 1500 და 3000 მეტრზე სირბილში იმარჯვა და შინ ორი ოქროს მედლით დაბრუნდა.



დავით ილარიანი

## თბილისის ჭერქვეშა ღია ჩემპიონატი

### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 60 მ | დავით ილარიანი (თბილისი) | 6,96 მ |
| 200 მ | გიორგი ანთელიძე (თბილისი) | 23,8 წმ |
| 400 მ | ენდრო ზილბერშტეინი (ახალციხე) | 50,6 წმ |
| 800 მ | თენგიზ ღვინჯილია (აფხაზეთი) | 1.58,4 წთ |
| 1500 მ | გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე) | 4.08,7 წთ |
| 3000 მ | გიორგი შეკრელიძე (თბილისი) | 8.58,5 წთ |
| 5000 მ | გიორგი შეკრელიძე (თბილისი) | 15.31.0 წთ |
| 60 მ თარჯრბენი | დავით ილარიანი (თბილისი) | 7,8 წმ |
| სიგრძეზე ხტომა | დავით ილარიანი (თბილისი) | 7,20 მ |
| სამხტომი | ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი) | 14,47 მ |
| სიმაღლეზე ხტომა | გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) | 1,95 მ |
| ბირთვის კვრა | ზურა გოგაია (მარტვილი) | 16,68 მ |
| ბადროს ტყორცნა | არამან ოგანოვი (თბილისი) | 45,20 მ |
| უროს ტყორცნა | გიორგი ხაჟომია (თბილისი) | 54,90 მ |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 800 მ | ნათია გელაშვილი (ბორჯომი) | 2.29,3წთ. |
| 1500 მ | გიული დეკანაძე (ვანი) | 5.01,5 წთ. |
| 3000 მ. | გიული დეკეანაძე (ვანი) | 11.00,0 წთ. |
| ბირთვის კვრა | სალომე რიგიშვილი (თიანეთი) | 11,38 მ. |
| ბადროს ტყორცნა | ნათია რიგიშვილი (თიანეთი) | 42,40 მ. |

# ვენელინამ ტია აატირა
## მოგურუმ მარეგამი გადაირბინა

**ბებერ** კონტინენტზე მორიგი ჭერქვეშა ტურნირი გაიმართა. პატარა ბელგიურმა ქალაქმა გენტმა ასევე პატარა პირველობას უმასპინძლა, რომელშიც ადგილობრივ მძლეოსანთა გარდა, სხვა ევროპელებმაც სცადეს ბედი.

ძალიან საინტერესო გამოვიდა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომა. ბელგიელთა ვარსკვლავი ტია ელებო ყველა ტურნირში ფავორიტად ითვლება, მით უფრო, რომ ამ ბოლო ხანებში სარბიელზე იშვიათად ჩნდება შვედი კაისა ბერგკვისტი. ელებო, ცხადია, გენტშიც მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ მაყურებელთა დასანანად, მას ბულგარელმა ვენელინა ვენევამ აჯობა.

ამ ორის დავაში თავდაპირველად რუსი მხტომელი ვიკტორია სლივკა-ოლიუგინაც ჩაერია, რომელმაც საწყისი სიმაღლეები თითო ცდით დაძლია, მაგრამ 192 სანტიმეტრს რომ მიადგა, იქ შეეტყო, დიდ სიმაღლეებს ვერ შეწვდებოდა. ეს ნიშნული სამი ცდით გაიარა და 195 სანტიმეტრს ველარაფერი მოუხერხა.

ელებოსა და ვენევასთვის არც ეს თამასა აღმოჩნდა დაუძლეველი და არც — მომდევნო, 198 სანტიმეტრს ორივე გადაევლო: ელებომ 201-საც ყოჩაღად შეუტია და სულ ცოტა დააკლდა ამ მწვერვალის დასაპყრობად, მაგრამ ტიას საბოლოოდ მხოლოდ მეორე ადგილი და იმედგაცრუება შეხვდა, რაკი მან ვენევაზე ერთი ცდით მეტი „დახარჯა“.

გენტიდან ათიათასობით კილომეტრის დაშორებით, დედამიწის მეორე კიდეზე, იაპონიაში კი მარათონელები შეიკრიბნენ. იაპონიის სიდიდით მეოთხე კუნძულ სიკოკუზე, ქალაქ მარეგამის შემოგარენში ტრადიციული ნახევარმარათონი გაიმართა, რომელშიც მეტწილად ადგილობრივი სტაიერები მონაწილეობდნენ, მაგრამ კაცთა შორის მაინც ცხრა ზღვისგაღმელმა იმარჯვა — კენიელმა მებეკო მოგურუმ 21 კილომეტრი საათზე ნაკლებ დროში — 59 წუთსა და 48 წამში გაირბინა და ასეულობით იაპონელი მშრალზე დატოვა. ქალებში კი მშობლიური სამძლეოსნო სკოლა კაიოკო ფუკუშიმ ასახელა. მისი შედეგი 1 საათი და 8 წუთია.

**ბოტე ყორშია**



ვენელინა ვენევა



## მსოფლიოს ჩემპიონატი
### ანტხოლც-ანტერსელვა. იტალია. 8-11 თებერვალი

# ლინდამ ნორვეგია გაამდიდრა




AFP

**ის, რაც** გუშინწინ დიადმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა ვერ შეძლო და ნორვეგიას იტალიაში მიმდინარე ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ოქროს მედალი ვერ მოუპოვა, გუშინ ლინდა გრუბენმა გააკეთა და თანაც, სწორედ იმ სახეობაში, ანუ ინდივიდუალურ რბოლაში, რომელშიც ოლემ ვერ ივარგა.

ქალთა ინდივიდუალური რბოლის ბედიც, კაცთა შეჯიბრის არ იყოს, სასროლეთზე გადაწყდა. ლინდამ, რომელმაც ანტერსელვაში უკვე მოასწრო ვერცხლის მედლის მოპოვება (გამოდევნებით რბოლაში), დიდებულად ისროლა, ოცივე სამიზნე დაფარა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თხილამურებითაც მშვენივრად ისრიალა. გასაკვირი სწორედ ეს იყო, რადგანაც აქამდე გრუბენის აქილევსის ქუსლად სწორედ თხილამურობა ითვლებოდა, მაგრამ ამ ჯერზე მან დისტანციაზე მესამე შედეგი აჩვენა შვედი ანა კარინ ოლოფსონისა და გერმანელი ანდრეა ჰენკელის შემდეგ და ამათგან განსხვავებით, უშეცდომოდაც ისროლა.

ჰენკელმა, ვინც ამ სახეობაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი გახლდათ, პირველივე სასროლეთზე ერთი შეცდომა დაუშვა, მერე მეორე, ბოლოს ერთიც ააცილა და სამი საჯარიმო წუთით მეექვსე ადგილსღა დასჯერდა. ოლოფსონის საქმე უფრო რთულად იყო — მსოფლიოს თასის გათამაშების ლიდერმა მეოთხე სასროლეთის ორი საჯარიმო წუთით კი უწია, მაგრამ იმდენად სწრაფი იყო, რომ ეს სასროლეთი უშეცდომოდ რომ გაევლო, ჩემპიონი გახდებოდა, ხოლო ერთი აცილებით მეორე ადგილზე გავიდოდა. მაგრამ შვედს, ისევე როგორც წინა დღეს მის თანამემამულე ბიორნ ფერის (რომელმაც მანამდე პირველ ადგილზე მყოფმა, ბოლო სასროლეთზე ერთბაშად სამი შეცდომა დაუშვა), სწორედ გადამწყვეტ მომენტში უმტყუნა მიზანმა, ორი სამიზნე ხელუხლებელი დატოვა და ოდენ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

ოლოფსონმა გრუბენის გარდა წინ უშეცდომოდ მსროლელი ფრანგი ფლორენს ბევერელ-რობერი, მარტინა გლაგოვი, რომელმაც ორგზის ჩემპიონის, მაგდალენა ნოინერის არყოფნაში გერმანელთა ლიდერობა ითავა და ნორვეგიელი ტორა ბერგერიც გაუშვა.

## ქალები

### 15 კმ ინდივიდუალური (4 სასროლეთი)

| | |
|---|---|
| 1. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 46წთ 24,3წმ (0 აცდენა) |
| 2. ფლორენს ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | 47.308 (0) |
| 3. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 47.59,8 (1) |
| 4. ტორა ბერგერი (ნორვეგია) | 48.09,2 (1) |
| 5. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 48.23,7 (4) |

### მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 629 ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 566 |
| 3. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 528 |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 463 |
| 5. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 388 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

**კოტ დივუარი 1:0 გვინეა**

**ჩინეთი 2:1 ყაზახეთი**

0:1 ჩიჩულინი (19), 1:1 პ. პენგი (33პ), 2:1 ჟინუ. (50)

**ირანი 2:2 ბელარუსი**

1:0 ხატიბი (5), 1:1, 1:2 ვ. გლები (53, 60), 2:2 რაჯაბზადეჰი (88)

**უზბეკეთი 0:0 აზერბაიჯანი**

**ნამიბია 1:0 ბოტსვანა**

**ალბანეთი 0:1 მაკედონია**

0:1 რისტიჩი (33)

**უნგრეთი 2:0 ლატვია**

1:0 პრისკინი (31, 50)

**რუმინეთი 2:0 მოლდოვა**

1:0 მაზილუ (75), 2:0 მუტუ (88)

**ისრაელი 1:1 უკრაინა**

1:0 ბადირი (39), 1:1 კალინიჩენკო (73)

**კვიპროსი 0:3 ბულგარეთი**

0:1 ბერბატოვი (45პ), 0:2 გეორგიევი (68), 0:3 ბერბატოვი (87)

**მალტა 1:1 ავსტრია**

1:0 აგიუსი (8), 1:1 ივანშიჩი (49)

**ალჟირი 2:1 ლიბია**

0:1 ჩიბანი (49), 1:1 საიფი (64), 2:1 მენირი (68)

**ტოგო 2:2 კამერუნი**

**ეგვიპტე 2:0 შვედეთი**

1:0 ზაკი (43), 2:0 ფატი (88)

**ლუქსემბურგი 2:1 გამბია**

0:1 ჟარკი (15), 1:1 იოახიმი (65), 2:1 საგრამოლა (83)

**გერმანია 3:1 შვეიცარია**

1:0 კურანი (7), 2:0 გომესი (30), 3:0 ფრინგსი (66), 3:1 შტრელერი (71)

**ხორვატია 2:1 ნორვეგია**

1:0 პეტრიჩი (26), 2:0 მოდრიჩი (38), 2:1 მოენი (86)

**სლოვენია 1:0 ესტონეთი**

1:0 ლავრიჩი (34პ)

**ანდორა 0:0 სომხეთი**

**ჰოლანდია 4:1 რუსეთი**

1:0 ბაბელი (68), 2:0 სნეიდერი (72), 2:1 ბისტროვი (77), 3:1 მატიისენი (80), 4:1 ვან დერ ვაარტი (89პ)

**მაროკო 1:1 ტუნისი**

1:0 შამახი (29), 1:1 ჟემაა (64პ)

**პოლონეთი 2:2 სლოვაკეთი**

0:1 იაკუბკო (1), 0:2 შკრტელი (45), 1:2 ჟევლაკოვი (48პ), 2:2 მატუშეკი (78)

**ბელგია 0:2 ჩეხეთი**

0:1 კოლერი (6), 0:2 კულიჩი (75)

**ინგლისი 0:1 ესპანეთი**

0:1 ინიესტა (63)

**საფრანგეთი 0:1 არგენტინა**

0:1 სავიოლა (15)

**ახალგაზრდულები (U-21)**

**ისრაელი 0:0 უკრაინა**

**საფრანგეთი 4:0 შვეიცარია**

**სლოვაკეთი 0:0 ნორვეგია**

**ჰოლანდია 0:0 დანია**

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი
### შესარჩევი ეტაპი

**D ჯგუფი. V ტური**

**სან მარინო 1:2 ირლანდია**

0:1 კილბეინი (49), 1:1 მარანი (86), 1:2 აირელანდი (90)

## ფინეთი

**ლიგის თასი. I ტური**

**ტამპერე 4:0 ტურკუ**

**ლაჰტი 2:1 კტპ**

**ჰიკ 5:1 ვიიკინგიტი**

**მარიეჰამნი 1:1 მიუპა**



ინგლისი 0:1 ესპანეთი. პიტერ კრაუჩი მცრატელებს დაეჩვია, ინგლისი — წაგებებს



გერმანია 3:1 შვეიცარია. კევინ კურანის უჩვეულო, შორეული გოლი



საფრანგეთი 0:1 არგენტინა. ხავიერ ძანეტის არგენტინამ მეტოქე დაგვიმარცხა



ჰოლანდია 4:1 რუსეთი. „ტიტებმა“ რუსები გადათელეს



სან მარინო 1:2 ირლანდია. „ჭუჭები“ რობი კინის (№10) ირლანდიას მაგრად გაუძალიანდნენ


# სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაპა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00